პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 298 (10074)

პარასკევი, 17 დეკემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის განცხადება იაპონიასთან ურთიერთობის საკითხზე (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა (1-ლი გვერდი).

გავაუმჯობესოთ სამეცნიერო დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების მუშაობა (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა. — ა. ა. სურკოვის მოხსენება საბჭოთა ლიტერატურის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ (მე-2 და მე-3 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ქრონიკული ბიბლიოთეკა

რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები

რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში თვეენახევარია მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. დეკემბერში დაიწყო პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი — რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები.

დიდია საანგარიშო-საარჩევნო კრებისა და კონფერენციის მნიშვნელობა პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების პერიოდულად ჩატარება შინაპარტიული დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა. კონფერენცია რაიონის ან ქალაქის პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა. მისი მიზანი ის არის, რომ ყოველმხრივ შეამოწმოს პარტიული ორგანოებისა და მათი ხელმძღვანელების საქმიანობა, ხელი შეუწყოს კომუნისტთა აქტივობის ამაღლებას, ხელმძღვანელებად ახალი კადრების დაწინაურებას, პარტიული მუშაობის გაუმჯობესებას.

პარტიული კონფერენციები მიმდინარეობს მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში. გმირი საბჭოთა ხალხი, რომელიც თავდადებით იბრძვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის, წარმატებით ახორციელებს პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მძიმე მრეწველობის შემდგომი განვითარების, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების შესახებ. ჩვენი რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, პატრიოტული შრომის საუკეთესო მაგალითებს გვიჩვენებენ. მრეწველობის მუშაკები ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად, მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესასრულებლად. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ახალ წარმატებებს აღწევენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლაში.

სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობაზე, კომუნისტების მზარდ თვითმოქმედებასა და ინიციატივაზე, იმაზე, თუ როგორ ეწევიან ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას მასებში, როგორ უზრუნველყოფენ საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მაღალ დონეს. სწორედ ამიტომ აუცილებელია, რომ პარტიის XIX ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების მიერ დასახული ამოცანები, შინაპარტიული და იდეოლოგიური მუშაობის საკითხები პარტიული კონფერენციების ყურადღების ცენტრში იდგეს.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში უკვე შედგა პარტიული კონფერენციები. ბევრგან კონფერენციებმა ორგანიზებულად, ნამდვილად საქმიან და მაღალი მომთხოვნელობის ვითარებაში, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. კომუნისტების დიდი აქტივობით ხასიათდებოდა, მაგალითად, თბილისის სტალინისა და ორჯონიკიძის რაიონების პარტიული კონფერენციები. დელეგატებმა ფართოდ და ყოველმხრივ განიხილეს როგორც პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული, ისე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბნისადმი ხელმძღვანელობის საკითხები. მათ გაბედულად გააკრიტიკეს რაიკომები, საქალაქო კომიტეტი, აღნიშნეს, რომ პარტიული კომიტეტების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ნაკლია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების ცუდად დაყენება. კამათის მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში დიდი ადგილი დაუთმეს იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობის ანალიზს.

გალის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე დელეგატებმა აღნიშნეს, რომ პარტიის რაიკომის მუშაობის ახლებურად გარდაქმნამ ხელი შეუწყო პირველადი ორგანიზაციების განმტკიცებას და მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. მაგრამ მუშაობის ახლებურად გარდაქმნა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. რაიკომის ზოგიერთი ინსტრუქტორი კოლმეურნეობაში მისვლისას მხოლოდ ცნობების შეგროვებას სჯერდება. ასე იქცევა, მაგალითად, ინსტრუქტორი ამხ. ჭოლარია. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ მისი ზონის კოლმეურნეობებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ჩაშლილია. გარდაბნის, ახმეტის, აბაშის, კაჯრეთის, ხობის რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე აღინიშნა, რომ რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფები მტს-ების ზონებში არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ურიგდებიან სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების ჩამორჩენას.

რაიონული პარტიული კონფერენციები მოწოდებული არიან ღრმა ანალიზი გაუკეთონ იმას, თუ რამდენად სწორად ხორციელდება სასოფლო რაიკომის აპარატის გარდაქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, გამომაჟღავნონ მუშაობის კანცელარიულ-ბიუროკრატული მეთოდები. მაგრამ არის ფაქტები, როცა ზოგიერთ პარტიულ კონფერენციაზე ჯეროვნად არ არის გაშლილი ნაკლოვანებათა პირუთვნელი კრიტიკა. ეს პირდაპირ შეეხება ზალკის რაიონულ პარტიულ კონფერენციას, რომელიც ამას წინათ გაიმართა. საანგარიშო მოხსენება ნაკლებ კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო. მომხსენებელმა — რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. კურდღვს ანალიზი არ გაუკეთებია მეკარტოფილეობისა და მეცხოველეობის შეუწყნარებელი ჩამორჩენისათვის, არ აუხსნია ამ ჩამორჩენის მიზეზები და არ დაუსახავს მისი გამოსწორების გზები. აღსანიშნავია, რომ მოხსენებაში სუსტად იყო გაშუქებული პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი რაიკომის ხელმძღვანელობის საკითხები. მომხსენებელმა არაფერი თქვა იმაზე, თუ როგორ იბრძოდა რაიკომი პარტიულ მუშაობაში ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატული სტილის აღმოსაფხვრელად.

როგორც პარტიული კონფერენციების შედეგები მოწმობს, შინაპარტიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დიდი ნაკლოვანებანი იმით არის გამოწვეული, რომ რაიკომები და საქალაქო კომიტეტები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან და ხელმძღვანელობენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. კერძოდ, ამის შესახებ ლაპარაკობდნენ დელეგატები თბილისის მოლოტოვის რაიონის და აჭარის ასსრ შუახევის რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე. საჭიროა კონფერენციებზე ფართოდ განვიხილოთ პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდები, უშიშრად გამოვამჟღავნოთ ადმინისტრირების, მბრძანებლობის ფაქტები, შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების დარღვევის შემთხვევები.

პარტიული კონფერენციები მაღალი ორგანიზებულობის მაგალითს უნდა წარმოადგენდნენ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ კონფერენციის საზეიმო, პარადული ხმაურის ვითარებაში ჩატარება. ეს მას დაუკარგავს საქმიან ხასიათს, დაიჩლუნგებს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ბასრ იარაღს, ჩამოაშორებს დელეგატთა ყურადღებას მთავარ ამოცანებს. კონფერენციაზე ისეთი ვითარება უნდა შეიქმნას, რომ დელეგატებს არაფერმა არ შეუშალოს ხელი მოფიქრებულად, ყურადღებით განიხილონ საანგარიშო მოხსენება, მთელი პირდაპირობით გააკრიტიკონ ნაკლოვანებანი, პარტიულ ორგანოებში წამოაყენონ თავიანთი კანდიდატები. პარტიის წევრთა უფლებების ყოველგვარ შელახვას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

შინაპარტიული დემოკრატიის მტკიცედ დაცვა, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაჩაღება იმის საწინდარი იქნება, რომ პარტიულმა კონფერენციებმა საქმიანად წარმართონ თავიანთი მუშაობა, აქტიურად განიხილონ პარტიული კომიტეტების საქმიანობა, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამომჟღავნებულ იაკლოვანებათა გამოსასწორებლად, პარტიულ ორგანოებში აირჩიონ ნამდვილად ავტორიტეტიანი ამხანაგები.

პარტიული კონფერენციების გულდასმით მომზადება და მაღალ დონეზე ჩატარება ხელს შეუწყობს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომ ამაღლებას, კომუნისტებისა და ყველა მშრომელის დარაზმვას პარტიის XIX ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის საბრძოლველად.

სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა

14 დეკემბერს კრემლში გაიხსნა სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა. მოსკოვს ჩამოვიდნენ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სარეწაო კოოპერაციის სამჭოების თავმჯდომარეები, კავშირების გამგეობებისა და სარეწაო არტელების თავმჯდომარეები, წარმოების ნოვატორები, სამხატვრო სარეწების ოსტატები.

ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1. სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს 1951-1954 წლების საანგარიშო მოხსენება; 2. სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება; 3. სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელი და საკონტროლო ორგანოების არჩევნები.

დელეგატები მხურვალედ შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისამართს სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობისადმი, რომელიც წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ნ. კოსიგინმა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. ე. პეტრუშევმა.

ამჟამად, თქვა მან, სარეწაო კოოპერაცია აერთიანებს 15 ათასზე მეტ არტელს. კოოპერაციულ ორგანიზაციებსა და საწარმოებში მუშაობს ორ მილიონზე მეტი კაცი. მარტო მიმდინარე წელს სარეწაო კოოპერაციამ უნდა გამოუშვას 55 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, აქედან 47 მილიარდი მანეთის სახალხო მოხმარების საგნები.

საერთო პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმა მიმდინარე წლის თერმიტ თვეში შესრულებულია 105 პროცენტით. 1950 წელთან შედარებით სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საქონლის მიწოდება თითქმის ერთიორად გადიდდა.

უკანასკნელი წლების მანძილზე სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა მიიღეს ბევრი ახალი მანქანა და სხვადასხვა მოწყობილობა. აშენდა და განხორციელდა 54 დიდი ლითონდამმუშავებელი საწარმოს რეკონსტრუქცია. ამუშავდა ოთხი ლითონსაგლინავი ქარხანა. სართავი ფაბრიკების სიმძლავრე გადიდდა 1,7-ჯერ. გაიხსნა ათეული ახალი ფაბრიკები, საწარმოები, რომლებიც უშვებენ საფეიერო საქონელს, ფიხსაცმელს, ტანსაცმელს. სახელოსნოები, რომლებიც ამზადებენ საგნებს სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის.

სარეწაო კოოპერაციის საწარმოებისათვის მზადდება მაღალკვალიფიციური კადრები: შექმნილია სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს უმაღლესი სკოლა დაუსწრებელი განყოფილებით, მუშაობს 33 ტექნიკუმი. უახლოეს დროში სასწავლებლების ქსელი კიდევ უფრო გადიდდება.

ანალიზი გაუკეთა რა წარმოების ცალკეული დარგების მდგომარეობას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ისინი ჯერ კიდევ ჩამორჩებიან მომხმარებლების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. სარეწაო კოოპერაცია უშვებს ჩვენს ქვეყანაში გამოშვებული ავეჯის, ზედტრიკოტაჟის, თექის ფეხსაცმლის მესამედზე მეტს, თუჯის, მომინანქრებული, ალუმინის ჭურჭლის, სათამაშოების ორმოცდაათ პროცენტზე მეტს. მაგრამ ამ საქონლის წარმოების ზრდა ჯერ კიდევ საკმარისი არ არის.

დიდი ნაკლია ის, რომ გეგმები არ სრულდება დაწესებული ასორტიმენტით, სუსტად ინერგება წარმოებაში საქონლის ახალი სახეობანი.

მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი საშენი მასალებისა და იმ სამეურნეო დანიშნულების საგნების წარმოებას, რომლებიც საჭიროა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, სოფლის მოსახლეობისათვის. სარეწაო კოოპერაციის მუშაკთა ღირსების საქმეა ამ პროდუქციის გამოშვების მკვეთრი გადიდება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს საქონლის ხარისხი და მრავალფეროვანი გახდეს მისი ასორტიმენტი. მან გააკრიტიკა მთელი რიგი კოოპერაციული ორგანიზაციები, რომლებიც უშვებენ ცუდი ხარისხის პროდუქციას. ზოგიერთი საწარმო იმდენად ცუდ საქონელს უშვებს, რომ სავაჭრო ქსელი უარს ამბობს მის მიღებაზე. მომხმარებლები სერიოზულ პრეტენზიებს უყენებენ საქართველოს, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის მოკავშირე რესპუბლიკების სამკერვალო არტელების ნაწარმს. ძალიან ცოტა მზადდება მოქარგული და კარგად გამოყვანილი ქალისა და ბავშვის ტანსაცმელი. დასახულია ამოცანა გადაჭრით გავაუმჯობესოთ ნაწარმის ხარისხი და ავიყვანოთ იგი სახელმწიფო სტანდარტებამდე.

მოხსენებაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სამხატვრო სარეწების განვითარებას. არტელებში ბევრია შესანიშნავი ხალხური ოსტატი, რომელთა ნამუშევრები ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში. ისინი უდიდესი წარმატებით სარგებლობდნენ საერთაშორისო გამოფენებზე პეკინში, დელში, მილანში, ლონში, კოპენჰაგენში, ჯაკარტაში, ლაიპციგში, ვენაში. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა შექმნას კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები ოსტატ მხატვართა მუშაობისათვის.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილება სარეწაო კოოპერაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ უკანასკნელ ხანს სარემონტო-საყოფაცხოვრებო საწარმოთა რაოდენობა 5,5 ათასით გადიდდა. მაგრამ მაინც მომსახურება და შესრულებული სამუშაოთა ხარისხი ბევრ შემთხვევაში არ შეესაბამება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ეს განსაკუთრებით ეხება ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებს.

სარეწაო კოოპერაციის პრაქტიკულ საქმიანობაში, აღნიშნავს მომხსენებელი, ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ფაქტი, რომ ურიგდებიან კოოპერაციული სახსრების მფლანგველობას, განიავებას. საჭიროა ბოლო მოეღოს გაფლანგვებსა და დატაცებას.

სარეწაო კოოპერაციის ყველა რგოლის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას ხელი უნდა შეუწყოს იმან, რომ არტელის წევრები ფართოდ ჩავებათ კოოპერაციული ორგანიზაციების მუშაობის მართვასა და კონტროლში. საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა მმართველობის აპარატში ზედმეტობასთან. მთელ საქმიანობას საფუძვლად უნდა დაედოს სოციალისტური შეჯიბრება, სახელმწიფო მრეწველობისა და კოოპერაციულ საწარმოთა ნოვატორების მოწინავე გამოცდილების დანერგვა.

შემდეგ მოხსენება გააკეთა სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ა. ი. სმირნოვამ.

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ დაიწყო ყრილობის დელეგატების გამოსვლები.

სიტყვა ეძლევა რუსეთის სფსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭოს გამგეობის თავმჯდომარეს ს. კ. ლამაკინს. იგი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა ნიერ პროდუქციის გამოშვება უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში 75 პროცენტით გადიდდა. ზრდის ასეთმა ტემპმა საშუალება მოგვცა უკვე მიმდინარე წელს შეგვესრულებინა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალება სამრეწველო წარმოების დონისა და საერთო პროდუქციის გამომშვების მოცულობის მხრივ.

ყამირ და ნასვენ მიწებზე ახალმოსახლეთა საქონლით უზრუნველყოფაში სარეწაო არტელების მონაწილეობაზე უკამლო დამსწრეთ აკმოლინსკის სარეწაო კოოპერაციის სოლქო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ვ. იკანოვმა. მან აღნიშნა, რომ ოლქის სარეწაო არტელებმა უკვე გადაჭარბებით შეასრულეს კირის, დახერხილი მასალის, შეკერილი და სხვა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა, რომლებიც იგზავნება ახლადმოწყობილ მტს-ებსა და მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში.

ყრილობის მუშაობის პირველ დღეს გამოვიდნენ აგრეთვე ყირგიზეთის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. გ. ტუგელბაევი, სვერდლოვსკის სარეწაო კოოპერაციის საქალაქო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. პ. პ. კალინიჩენკო, ესტონეთის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მენკოვი და ტიუმენის სარეწაო კოოპერაციის საოლქო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. განჩო.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ნ. შატალინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ნ. კოსიგინი.

15 დეკემბერს კრემლში პუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა.

პირველმა სიტყვა წარმოთქვა სარეწაო კოოპერაციის სტალინოს საოლქო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. ტ. ნეხტიენკომ. მან აღნიშნა, რომ უახლოეს ორ წელიწადში დასახულია ოლქში აშენდეს ფურცელსაგლინავი ქარხანა და ორი აგურის ქარხანა, ჭურჭლისა და მათეთრას საწარმოები, ავეჯის, ტრიკოტაჟისა და მაკარონის ფაბრიკები. ოლქში მუშაობს საყოფაცხოვრებო მომსახურების 1.300-ზე მეტი სახელოსნო.

არტელ „ლესოპროდუქტის“ თავმჯდომარე ამხ. ა. ფ. ელმანმა (ესტონეთი) თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საჭიროა არტელების შეუფერხებლად მომარაგება ხედლეულით.

წელს მოგილიოვის ოლქის არტელების დიდმა ნაწილმა, თქვა სარეწაო კოოპერაციის საოლქო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. ი. კისლიაკოვმა, გადაჭარბებით შეასრულა შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და დაგროვების დავალება.

სარეწაო კოოპერაციის წესდების დარღვევის ფაქტების შესახებ ილაპარაკა ყრილობაზე სარეწაო კოოპერაციის ივანოვოს საოლქო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. პ. კორიაგინმა.

დიდი მნიშვნელობა აქვს სამმართველო აპარატის შესანახი ხარჯების შემცირებას. არტელ „ჩვენი შრომის“ (უზბეკეთის სსრ) გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ტ. ალაუტდინოვმა განაცხადა, რომ უზბეკეთში სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის გაერთიანების შედეგად სამმართველოს ხარჯები წელიწადში 3,5 მილიონი მანეთით შემცირდება.

დელეგატებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მოსკოვის სამხატვრო სარეწების სარეწაო კავშირის თავმჯდომარის ამხ. კ. პ. ავერიანოვას სიტყვა. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სათამაშოების წარმოების შემდგომი განვითარების საკითხებს.

ყამირი მიწების ათვისების რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საქონლით მომარაგების საკითხებს მიუძღვნა თავისი სიტყვა ყაზახეთის სსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ირეანოვმა.

კრუპსკაიას სახელობის არტელის (უკრაინის სსრ) გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. კ. ლოზამ ილაპარაკა იმაზე, რომ იზრდება მოსახლეობის მოთხოვნილება ლამაზ ნაქარგებზე, ხალიჩებსა და სხვა მხატვრულ ნაწარმზე.

სარეწაო არტელების წევრთა მატერიალურ უზრუნველყოფასა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე ილაპარაკა კოოპერაციული დაზღვევის საკავშირო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. ა. სეროვმა.

სარეწაო კოოპერაციის ლენინგრადის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. ე. ვდოვინმა განაცხადა, რომ ოლქის სარეწაო არტელებმა წელს აითვისეს თითქმის 200 ახალი სახეობის ნაწარმის წარმოება.

სიტყვა ეძლევა მოლდავეთის XVIII პარტყრილობის სახელობის არტელის ხელმძღვანელს ამხ. ა. ს. გულპარს. მან დამსწრეთ გაუზიარა კოლმეურნეთაგან შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავების გამოცდილება.

ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გალკინმა განაცხადა, რომ წელს სარეწაო კოოპერაციამ ცენტროსოიუზს მოსახლეობისათვის მისაყიდად უნდა გაუგზავნოს ათ მილიარდზე მეტი მანეთის ფართო მოხმარების საქონელი. მაგრამ, საქონლის გამოშვების ზრდის მიუხედავად, მისი ასორტიმენტი არ აკმაყოფილებს მყიდველებს. ორატორს მოჰყავს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ბევრი არტელი, ცდილობს რა შეასრულოს საერთო გამოშვების გეგმა, ბაზარს ავსებს ისეთი საქონლით, რომელზეც ნაკლები მოთხოვნილებაა.

ნაკლები რაოდენობით მზადდება საღალე და სასარაჯო ნაკეთობა. ამ ნაკეთობაზე მოთხოვნილება, მაგალითად, ყაზახეთში მხოლოდ 30 პროცენტით კმაყოფილდება, საქართველოში — 23, აზერბაიჯანში — 18 პროცენტით. ცენტროსოიუზი იძულებულია შუა აზიაში საზიდრები შეიტანოს ბელორუსიიდან.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ქალაქ ხერსონის არტელ „კომკავშირელის“ გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ტ. ფ. ზაპოროჟეცი, კარელია-ფინეთის სსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე ვ. პ. რიკანოვი, ლატვიის სსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე კ. ლ. შიცი, თურქმენეთის სსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე ა. არტიკოვი და სხვები.

15 დეკემბერს ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება.

დელეგატები გულთბილად შეხვდნენ სრულიად ჩინეთის სარეწაო კოოპერაციის მუშაკთა მეოთხე თათბირის მისასალმებელ დეპეშას. ეს თათბირი ახლა მიმდინარეობს პეკინში.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო საპასუხო დეპეშა სრულიად ჩინეთის სარეწაო კოოპერაციის მუშაკთა მეოთხე თათბირისადმი.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

(საკდესი).

19 დეკემბერი სახალხო სასამართლოების არჩევნების დღეა

ღირსეული კანდიდატი

დილაა. ორჯონიკიძის ქუჩით სტალინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლოსაკენ მიიჩქარის მოსამართლე ავთანდილ სულავა. მოპირდაპირე მხრიდან მომავალი ორი მგზავრი შეჩერდა, ერთმანეთს გადაულაპარაკეს. მათ იცნეს მოსამართლე. ა. სულავა არ იყო, ისინი რომ შეარიგა? ახლა ერთი სიტყვით ითქმება, შეარიგო! მაშინ კი... უმნიშვნელო მიზეზით ერთმანეთზე გულნაკლულნი მოითხოვდნენ, რომ სახალხო სასამართლოს გადაეჭრა მათი დავა, მკაცრად დაესაჯა „დამნაშავე“. მოსამართლე ესაუბრა, დაარწმუნა, რომ ერთმანეთთან წალაპარაკებაში ორივე იყო დამნაშავე. წაჩხუბებულ მეზობლებს ურთიერთპატივისცემის გრძნობა გაუღვიძა, შეარიგა.

ასეთი გულითადობისათვის არის, რომ რაიონის მშრომელები მოსამართლე ა. სულავას მიმართავენ როგორც ამხანაგს, კარგ მრჩეველს, დამცველს. ამიტომაც იყო, რომ იგი ორჯერ აირჩიეს სახალხო მოსამართლედ, ახლა კი მესამედ წამოაყენეს მისი კანდიდატურა საბჭოთა მართლმსაჯულების დამცველის პოსტზე.

ავთანდილ სულავა სისტემატურად მუშაობს კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამავე დროს სხვებსაც უზიარებს თავის გამოცდილებას. მას ხშირად ნახავთ სახალხო მსაჯულთა შორის, ესაუბრება მათ საბჭოთა კანონების დაცვის საკითხებზე, აცნობს საბჭოთა სასამართლოწარმოებას.

რაიონის მშრომელები ხშირად ისმენენ ა. სულავას ლექციებს. მის მიერ ამას წინათ წაკითხულმა ლექციამ „სოციალისტური საკუთრების დაცვა საბჭოთა მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობაა“ კარგი შთაბეჭდილება დატოვა გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ მუშაკთა შორის.

ერთხმად მისცენ ხმა სახალხო მოსამართლის თავიანთ ღირსეულ კანდიდატს ავთანდილ დომენტის-ძე სულავას, — ასეთია სტალინის რაიონის № 1 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა გადაწყვეტილება.

ვ. მეგუკე.

გულისხმიერი მუშაკი

საამოული ომის მძიმე დღეები იყო, როცა თინა სილოვანის ასულმა ხვედელიძემ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. ახალგაზრდა ქალი პირველად სამტრედიის რკინიგზის კვანძზე იურისკონსულტად მუშაობდა, შემდეგ ქალაქ ბათუმის პროკურატურაში სახალხო გამომძიებელი იყო, ხოლო 1947 წლიდან დღემდე სახალხო მოსამართლეა.

პირველი სასამართლო პროცესი, რომელიც თ. ხვედელიძის თავმჯდომარეობით 1947 წლის მაისში შედგა, ახლაც კარგად ახსოვს მას. ვინ იცის, რამდენი უძილოდ გატარებული ღამე უსწრებდა წინ ამ პროცესს... ხუმრობა ხომ არ იყო ახალგაზრდა იურისტისათვის ადამიანის ბედის გადაწყვეტა ისე, რომ დაცული ყოფილიყო საბჭოთა კანონიერებაც და თვით მსჯავრდადებულის ინტერესებიც.

თ. ხვედელიძე არა მარტო მიწინავე სახალხო მოსამართლეა, იგი ამავე დროს აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ და პარტიულ მუშაობაში. მას ხშირად შეხვდებით ფაბრიკასა და ქარხანაში, ნუშების წინამე გამოდის საინტერესო ლექციებით, მოხსენებებით, ძართავს მათთან საუბრებს, კონსულტაციებს იურიდიულ საკითხებზე, საბჭოთა კანონიერებაზე. ქალაქის მოსახლეობა დიდი ინტერესით ისმენს მის ლექციებს თემებზე: „საბჭოთა ოჯახი“, „სოციალისტური საკუთრება წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელია“, „კომუნისტური მორალისა და კომუნისტური აღზრდის შესახებ“.

თ. ხვედელიძე აქვარის ასსრ იუსტიციის სამინისტროსა და სასამართლო ორგანოების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად მუშაობს. ნაყოფიერ მუშაობასა და საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად მონდომებით მეცადინეობს თავისი იდეურ-თეორიული ცოდნის ასამაღლებლად.

გულისხმიერი მოსამართლე და აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი თინა სილოვანის ასული ხვედელიძე აღას წინათ ბათუმის გემშენებელი ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად დაასახელა ქალაქ ბათუმის პირველი უბნის სახალხო მოსამართლის კანდიდატად. ამომრჩეველები დარწმუნებული არიან, რომ ამხ. თ. ხვედელიძე გაამართლებს მათს ნდობას, კვლავაც მტკიცედ დაიცავს საბჭოთა კანონიერებასა და საბჭოთა მოქალაქის უფლებებს.

დ. პაიჭაძე.

დღეს, საღამოს 7 საათზე ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქუჩა № 4) გაიხსნება

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის ორგანიზაციის XXIX საქალაქო კონფერენცია.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს კლუბის შენობაში საღამოს 6 საათიდან.

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება იაპონიასთან ურთიერთობის საკითხზე

ამ დღეებში იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა სიგემიცუმ გააკეთა ოფიციალური განცხადება საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომლის განხორციელება განზრახული აქვს იაპონიის ახალ მთავრობას, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხატოიამა მეთაურობს. ამ განცხადებაში ბ-ნმა სიგემიცუმ, კერძოდ, თქვა, რომ იაპონიის ახალი მთავრობა მზად არის აღადგინოს ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ურთიერთ მისაღები პირობებით, თუმცა ამავე დროს გააკეთა ზოგიერთი შენიშვნა.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ ისწრაფვის დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, რომელიც თავის მხრივ იჩენს მზადყოფნას ამისათვის. ასეთ პოლიტიკას საბჭოთა კავშირი ახორციელებს იაპონიის მიმართაც, მიაჩნია რა, რომ საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაცია შეესაბამება არა მარტო ორივე სახელმწიფოს ინტერესებს, არამედ აგრეთვე სხვა ქვეყნების ინტერესებსაც, რომლებიც დაინტერესებული არიან შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცებით და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით.

საბჭოთა მთავრობის პოზიციამ იაპონიასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხში თავისი გამოხატულება პოვა საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი დეკლარაციით იაპონიასთან ურთიერთობის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა ა. წ. 12 ოქტომბერს. როგორც ცნობილია ამ დეკლარაციაში გამოთქმულია საბჭოთა კავშირის მზადყოფნა დაამყაროს ნორმალური ურთიერთობა იაპონიასთან, განავითაროს მასთან ვაჭრობა ურთიერთხელსაყრელი პირობებით, აგრეთვე დაამყაროს კულტურული კავშირურთიერთობა.

საბჭოთა მთავრობა დადებითად ეკიდება ბ-ნ სიგემიცუს ზემოხსენებულ განცხადებას იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ. თავის მხრივ იგი მზადაა განიხილოს საკითხი სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის განხორციელების პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ, თუ იაპონიის მთავრობას ნამდვილად აქვს განზრახული გადადგას ნაბიჯი ამ მიმართულებით.

1954 წლის 16 დეკემბერი.

გავაუმჯობესოთ სამეცნიერო დაწესებულებათა პარჯიული ორგანიზაციების მუშაობა

ორჯონიკიძის რაიონის XXX პარტიულ კონფერენციაზე

დედაქალაქის ორჯონიკიძის რაიონის ტერიტორიაზე თავმოყრილია რესპუბლიკაში არსებული უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დიდი უმრავლესობა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ რაიონის პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა, მთავარი ყურადღება დაეთმო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში სასწავლო-აღმზრდელობითი და მეცნიერული მუშაობის საკითხებს.

პარტიულ კონფერენციაზე, მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. შ. მახარაძემ და სიტყვით გამოსულმა დელეგატებმა აღინიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდში, როგორც უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, ისე რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში პარტიულმა ორგანიზაციებმა რამდენადმე გააუმჯობესეს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა. იდეოლოგიური საქმიანობის უკეთ დაყენებამ ხელი შეუწყო კომუნისტების ავანგარდული როლის ზრდას, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

ამასთან როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილეებმა სამართლიანად გაამახვილეს ყურადღება იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიის რაიკომის მუშაობაშია.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ რაიონის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული შინაპარტიული მუშაობა. ცოტა როდია შემთხვევა, როცა ცალკე პარტიულ ორგანიზაციებში არარეგულარულად და მოუმზადებლად ეწყობა პარტიული კრებები, უგულებელყოფენ პარტიული კრებისათვის დღის წესრიგის შერჩევისა და განსახილველი საკითხების გულდასმით მომზადების მნიშვნელობას. ფიზიოლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში თვეების მანძილზე არ იწვევდნენ პარტიულ კრებებს.

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, მათი განხორციელებისათვის ყოველდღიური ზრუნვა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მძლავრი საშუალებაა. მაგრამ ყველგან და ყოველთვის სათანადოდ როდი იბრძვიან მიღებულ დადგენილებათა განუხრელად განხორციელებისათვის. როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე თვით პარტიის რაიკომშიც არ არის.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა თავიანთ გამოსვლებში საკმაოდ გაამახვილეს ყურადღება იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე, ამხილეს პარტიული სწავლების დარგში არსებული ნაკლოვანებანი. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, საქპურტრესტის, ლუდ-ლიმონათის ტრესტის, ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის და მთელ რიგ სხვა პარტორგანიზაციებში ცალკე კომუნისტებს, რომლებიც წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა სიაში ირიცხებიან, აქამდე არ დაუწყიათ მეცადინეობა.

კონფერენციაზე გააკრიტიკეს პარტიის რაიკომის ლექტორთა ჯგუფის მუშაობა.

კონფერენციაზე მართებულად გააკრიტიკეს უმაღლესი სასწავლებლების ცალკე მუშაკები და პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობის ხარისხის ამაღლებას.

სერიოზული ნაკლოვანებები იქნა მხილებული აგრეთვე დისერტაციების დაცვისა და მეცნიერთა კადრების მომზადებისა და განაწილების საქმეში. მომთხოვნელობის, კონტროლის შესუსტებით უნდა აიხსნას, რომ ცალკე ამხანაგები ზერელედ, საქმის უყოდინრად წარენ შრომებსა და დისერტაციებს.

უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-საკვლევი და სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ნაკლოვანებათა შესახებ ილაპარაკა უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ვ. კუპრაძემ. ზოგიერთი პროფესორ-მასწავლებელი, განაცხადა მან, დაბალ იდეურ და მეთოდურ დონეზე ატარებს ლექციებს. ისეთი შემთხვევაც არის, რომ ცალკე ლექტორები იმ პროგრამასაც კი არ იცნობენ, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მეცნიერული დისციპლინების სწავლებას. მიუხედავად ამისა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ლექციების დაბალხარისხოვნად ჩატარების საკითხი კონკრეტული მსჯელობის საგნად გაგვეხადა. უნივერსიტეტის საფაკულტეტო სამეცნიერო სხვადასხვა რეგულარულად და საქმიანად არ განიხილავენ ლექციების ხარისხის საკითხებს. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სტუდენტთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა.

ფიზიოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. გ. მჭედლიშვილმა პარტიის რაიკომს უსაყვედურა იმისათვის, რომ იგი ჯერ კიდევ საფუძვლიანად ვერ სწვდება ინსტიტუტის სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის საკითხებს, კონკრეტულად არ ხელმძღვანელობს ინსტიტუტის პირველადს პარტიულ ორგანიზაციას.

რესპუბლიკის ონკოლოგიური დისპანსერის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ქ. ნიკოლაძემ განაცხადა, რომ დისპანსერის ცალკე მუშაკთა შორის დაუსრულებელი კონკლაობაა, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს საქმეს. ეს საკითხი არაერთხელ გამხდარა როგორც პარტიის რაიკომის, ისე საქალაქო კომიტეტის მსჯელობის საგანი, მაგრამ მდგომარეობა დღემდე გამოუსწორებელია.

კომკავშირის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. დათუაშვილმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ახალგაზრდობაში იდეოლოგიური მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებაზე, გააკრიტიკა საქმშენის № 2 კანტორის, საქსოფლმშენის კანტორის, არტელ „ტრანსპორტელისა“ და სხვა დაწესებულებათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც საჭიროდ არ თვლიან ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ კომკავშირულ ორგანიზაციებს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრმა ამხ. ზ. კეცხოველმა, რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. შ. ყუფარაძემ, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორმა ამხ. მ. საკანდელიძემ, საქ. კ. პ. ც. კ-ის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. მელქაძემ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტკომის მდივანმა ამხ. გ. გიგაურმა, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ი. კვესიტაძემ და სხვებმა, სულ 18 კაცმა.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და აირჩია რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

* * *

ახლადარჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. შ. მახარაძე, მეორე მდივნად — ამხ. ნ. რამიშვილი, ხოლო მდივნად ამხ. ე. ღლონტი.

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა

ა. ა. სურკოვის მოხსენება საბჭოთა ლიტერატურის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ

ოცი წლის წინათ საბჭოთა მწერლების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის ტრიბუნიდან მაქსიმ გორკიმ თქვა:

„თუ აქ, ამ დარბაზში, საფუძველი ჩაეყარა მთელი საკავშირო ლიტერატურის გაერთიანებას, ყრილობის შემდეგ ჩვენ უნდა დავიწყოთ პრაქტიკული გაერთიანება ჩვენი ძნელი მუშაობის წარმატების მიზნით, და ეს მუშაობა უნდა განვაგრძოთ, სულ უფრო და უფრო განვავითაროთ იგი, რათა შეექმნათ ის მძლავრი ლიტერატურა, რომელიც ესაჭიროება არა მარტო ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ქვეყნის ხალხებს, არამედ, შეიძლება ვთქვა, ესაჭიროება მთელ მსოფლიოს“. (მ. გორკი, თხზულებათა კრებული, ტ. 27, გვ. 336).

საბჭოთა ქვეყნის ლიტერატორები ოც წელიწადს მუშაობდნენ, ახსოვდათ რა თავიანთი დიდი მეგობრისა და მკაცრი, მომთხოვნელი მასწავლებლის ეს გეზის მიმცემი სიტყვები, გრძნობდნენ რა თავს ლიტერატურის იმ განძის კანონიერ მემკვიდრეებად, რომელიც კაცობრიობის მხატვრულ გენიას შეუქმნია.

საბჭოთა ქვეყნის ლიტერატურა მთელი თავისი შემოქმედებითი ბედით, ისევე როგორც თავის საუკეთესო წარმომადგენელთა ბიოგრაფიებით, განუყრელად დაკავშირებულია ხალხთან. იგი აქტიურად მონაწილეობდა სოციალისტურ მშენებლობაში, ყველა უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენაში, რომლებიც თან ახლდა ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ.

განუზომლად გაიზარდა საბჭოთა მწერლის აქტიური მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასორმოცდაათი მწერალი, რომლებსაც ხალხმა დიდი ნდობა გამოუცხადა, არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოძმე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატებად, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად. განვლილ ოც წელიწადში საბჭოთა მწერლები უაღრესად ქმედით მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყველა უმნიშვნელოვანეს პროგრესულ მოძრაობაში. ომისშემდგომ წლებში საბჭოთა მწერლები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ მშვიდობისათვის ბრძოლაში, რომელიც მსოფლიოში გაჩაღდა.

ორ ყრილობას შორის განვლილი ოცი წლის მანძილზე საბჭოთა ლიტერატურაში უდიდესი ცვლილებები მოხდა. ლიტერატურაში მოვიდნენ ახალი ადამიანები, საბჭოთა მწერლების კავშირის წევრთა და წევრობის კანდიდატთა რიცხვი გადიდდა 1934 წლის 1.500-დან 3.695-მდე 1954 წელს. განმტკიცდა, ახალი ადამიანებით შეივსო, ახალი წიგნებით გამდიდრდა პირველ ყრილობაზე წარმოდგენილი ლიტერატურები. წარმოიშვა და განვითარდა ახალი მოძმე ლიტერატურები. ხალხთა გაერთიანების შედეგად საბჭოთა ლიტერატურას შეუერთდნენ ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, მოლდავეთის ბესარაბიის ნაწილის, ბუკოვინის, იმიერკარპატის უკრაინის, უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქების ნიჭიერ მწერალთა ახალი დიდი რაზმები.

კულტურულმა რევოლუციამ, რომელიც განუწყვეტლივ ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა, ათეულ მილიონობით ახალი მკითხველი შესძინა ლიტერატურას. ამ მკითხველთა გამოჩენამ განაპირობა მხატვრული ლიტერატურის ტირაჟების კოლოსალური ზრდა.

ამ ზრდას ცხადყოფს შემდეგი ციფრები:

1934 წელს საბჭოთა კავშირში გამოიცა რუსული საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის 1.852 ნაწარმოები 32.943 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. 1953 წელს გამოიცა 2.733 ნაწარმოები 159.801 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.

1934 წელს გამოიცა სსრ კავშირის სხვა მოძმე ხალხთა მწერლების 1.233 ნაწარმოები 7.192 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. 1953 წელს — 1.552 ნაწარმოები 38.526 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.

1934 წელს სსრ კავშირში გამოიცა საზღვარგარეთის მხატვრული ლიტერატურის 348 სახელწოდების ნაწარმოები 4.797 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. 1953 წელს — 420 სახელწოდებისა 24.480 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.

განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში კლასიკოსთა ნაწარმოებნი. გორკის წიგნები გამოვიდა 80 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით, პუშკინისა — 70 მილიონი, ტოლსტოისა — 60 მილიონი, ჩეხოვისა — 40 მილიონი, ტურგენევისა — 33 მილიონი, გოგოლისა — 29 მილიონი, კოროლენკოს, კრილოვის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოებნი — 16-21 მილიონი ცალი ტირაჟებით.

ერთიდან თორმეტ მილიონამდე ცალი ტირაჟებით გამოვიდა უცხოელი მწერლების: ო. ბალზაკის, ჟიულ ვერნის, ვ. ჰიუგოს, ე. ზოლას, გ. მოპასანის, ტ. დრაიზერის, ჯ. ლონდონის, მ. ტვენის, დ. დეფოს, ჩ. დიკენსის, ჯ. სვიფტის, უ. შექსპირის, ჰ. ჰაინეს, ვ. გოეთეს, ფ. შილერის, მ. სერვანტესისა და სხვების ნაწარმოებნი.

ყოველივე ამას უნდა დაემატოს, რომ ერთიდან ოც მილიონ ცალამდე ტირაჟით გამოვიდა ჩვენს ქვეყანაში ორმოცდაშვიდი რუსი საბჭოთა მწერლის ნაწარმოებნი, მათ შორის ცხრა პოეტის; ლექსთა წიგნები, ხოლო ვლადიმერ მაიაკოვსკის წიგნები გამოცემულია 23 მილიონი ცალი ტირაჟით!

სწორი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ იმაზე, თუ რამდენად ფართოა ჩვენს ქვეყანაში მხატვრული ლიტერატურის მკითხველთა წრე, მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ბიბლიოთეკების გიგანტური ქსელი (300 ათასზე მეტი რაოდენობით), რომლებიც წიგნებს აწვდიან ათეულ მილიონობით მკითხველს.

ამხ. სურკოვი ამბობს, რომ განუწყვეტლივ მტკიცდება შემოქმედებითი ურთიერთობა საბჭოთა კავშირის ხალხების ლიტერატურათა შორის. ეს არის კულტურის დარგში ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ერთ-ერთი უაღრესად მჭევრმეტყველური დადასტურება.

ბევრი პატარა ხალხი, რომლებიც წინათ წერა-კითხვის მთლიანი უცოდინარობის წყვდიადში იმყოფებოდნენ და გადაშენება მოელოდათ, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აღორძინდა ახალი ისტორიული ცხოვრებისათვის. ორმოცზე მეტმა ხალხმა პირველად ოქტომბრის შემდეგ მოიპოვა დამწერლობა. თვითეულმა ამ ხალხმა გაიჩინა თავისი ეროვნული ხელოვნება, თავისი ლიტერატურა, რომლებიც წარმატებით ვითარდება. ყველა მოძმე ლიტერატურაში განუზომლად გაფართოვდა თემატიკა, გაღრმავდა თანამედროვეობის უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემათა დამუშავება, გაფართოვდა ცხოვრების მასალის წრე, რასაც მხატვრულად ეუფლებიან მწერლები.

თუ 1934 წელს გამოიცა სსრ კავშირის მოძმე ხალხთა ენებზე ნათარგმნი რუსული ლიტერატურის 481 ნაწარმოები 3.529 ათასი ცალი ტირაჟით, 1953 წელს გამოცემულია 1.022 ნაწარმოები 16.007 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.

1934 წელს გამოვიდა მოძმე ლიტერატურათა მწერლების რუსულ ენაზე ნათარგმნი 150 ნაწარმოები 1.045 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. ხოლო 1953 წელს გამოიცა 419 ნაწარმოები 21.427 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს რუსული ენის დიდ მნიშვნელობას კულტურულ ფასეულობათა ურთიერთგაზიარებაში.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების პირობებში რუსულ ენას ჩვენს საზოგადოებაში წილად ხვდა საპატიო როლი — იყოს სსრ კავშირის მოძმე ხალხთა შორის კულტურულ და ლიტერატურულ ფასეულობათა ურთიერთგაზიარების მძლავრი საშუალება. რუსული ენის ეს როლი ომისშემდგომ წლებში დამატებით კიდევ იმით გაძლიერდა, რომ საზღვარგარეთ გაიზარდა ინტერესი სსრ კავშირის მოძმე ლიტერატურების მწერალთა ნაწარმოებებისადმი, და ეს ნაწარმოებნი, როგორც წესი, ითარგმნება ბევრ უცხო ენაზე, ჯერჯერობით მეორადი თარგმანის სახით — რუსული ენიდან.

თავისთავად ცხადია, ამბობს იგი, რომ თვითეული მოძმე ლიტერატურა თავისებურად ეუფლებოდა რუსული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის გამოცდილებას. ყველაზე, მომწიფებული ლიტერატურები, ისეთები, როგორიც არის უკრაინული, ლატვიური, ნაწილობრივ ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, რომლებსაც წარსულში შედარებით მდიდარი რეალისტური პროზა ჰქონდათ, თავისი განვითარების საბჭოთა პერიოდში მისდევდნენ საკუთარ ეროვნულ ტრადიციას და ამავე დროს ეუფლებოდნენ რუსული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის გამოცდილებასა და ტრადიციებს.

სხვა საქმეა ის მოძმე ლიტერატურები, რომლებსაც პირველი ყრილობის დროისთვისაც კი პროზა და დრამატურგია ჩანასახ მდგომარეობაში ჰქონდათ. ასეთი ლიტერატურებისათვის, ხოლო ისინი ათობით არიან, რუსული პროზა და დრამატურგია (რა თქმა უნდა, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკური მემკვიდრეობის გამოყენებასთან ერთად) იყო და კვლავ რჩება შემოქმედებითი გამოცდილების თანამომდევნობის მთავარ წყაროდ.

მთელი ჩვენი მრავალეროვანი ლიტერატურის განვითარების ერთ-ერთი ძეტად დიდმნიშვნელოვანი შედეგი ორ ყრილობას შორის პერიოდში არის მოძმე ლიტერატურების მზარდი შემოქმედებითი ურთიერთმოქმედება და ურთიერთგავლენა. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა მწერალთა ინტენსიურმა საქმიანობამ ურთიერთ თარგმანის დარგში.

ამ ხნის განმავლობაში რუსულ ენასა და მოძმე ხალხთა მთელ რიგ ენებზე თანამედროულად და მაღალხარისხოვნად ითარგმნა მოძმე ლიტერატურების ბევრი კლასიკოსის ნაწარმოებნი.

ვრცელი გახდა აგრეთვე წრე თანამედროვე საბჭოთა მწერლების საუკეთესო ნაწარმოებებისა, რომლებიც ითარგმნა რუსულ ენასა და სხვა მოძმე ხალხთა ენებზე.

ოდნავაც არ ვამცირებთ რა რუსული კლასიკისა და თანამედროვე რუსული ლიტერატურის გამოცდილების მნიშვნელობას ყველა ჩვენი მოძმე ლიტერატურის განვითარებისათვის, შეგვიძლია ჩვენი საერთო წარმატებებისათვის გულწრფელი სიამაყის გრძნობით ვილაპარაკოთ, რომ ყველა ლიტერატურაზე, მათ შორის რუსულ ლიტერატურაზეც, ურთიერთ გავლენას ახდენენ მოძმე ლიტერატურების კლასიკოსთა დიადი ქმნილებანი და თანამედროვე მწერალთა ზოგიერთი თვალსაჩინო ნაწარმოებნი.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ მოძმე ლიტერატურების მწერალთა ნაწარმოებების თარგმნაში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო ოსტატები, მომხსენებელმა ამასთან ერთად განაცხადა, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ზოგჯერ ხელს ჰკიდებენ ნაკლებად უნარიანი ადამიანებიც.

მწერალთა მეორე ყრილობამ უაღრესად მტკიცე დავალება უნდა მისცეს კავშირის გამგეობის ახალ შემადგენლობას სერიოზულად შეუდგეს სამთარგმნელო მუშაობის, როგორც უმნიშვნელოვანესი კულტურულ-პოლიტიკური საქმის მოწესრიგებას.

მოხსენებაში მოყვანილია ციფრები და ფაქტები, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ სულ უფრო მეტად იზრდება უცხოელ მკითხველთა ინტერესი საბჭოთა ლიტერატურისადმი.

საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის დროისათვის უცხო ენებზე გამოცემული იყო ჩვენი 97 მწერლის ცალკეული წიგნები.

1945 წლიდან 1953 წლამდე, არასრული ცნობებით, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და კაპიტალისტურ ქვეყნებში 9.000-ზე მეტ გამოცემად გამოვიდა 900-ზე მეტი საბჭოთა მწერლის ნაწარმოებნი, რომლებიც ითარგმნა 44 უცხო ენაზე. მხოლოდ 1951-1953 წლებში უცხოეთში გამოიცა საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის 94.196 ათასი ცალი ნაწარმოები. აქედან ჩანს, თუ მკითხველთა რა დიდი აუდიტორია ეროიპოვა ჩვენმა ლიტერატურამ უცხოეთში. რა თქმა უნდა, საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის თარგმანები ყველაზე მეტად გავრცელდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და სახალხო ჩინეთში. მაგრამ, მიუხედავად „ცივი ომის“ ატმოსფეროსი და მრავალი დაბრკოლებისა, რომლებითაც ჩვენს ლიტერატურას გზას ულობავენ მასობრივი მკითხველისაკენ კაპიტალისტურ სამყაროში, ჩვენი წიგნები ომისშემდგომ წლებში ითარგმნებოდა და გამოდიოდა ავსტრიაში, ინგლისში, არგენტინაში, ბრაზილიაში, ჰოლანდიაში, დანიაში, ინდოეთში, იტალიაში, ლიბანში, მექსიკაში, ნორვეგიაში, პაკისტანში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ურუგვაიში, ფინეთში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, შვეციაში, იაპონიასა და ბევრ სხვა ქვეყანაში.

ჩვენი მკითხველთა აუდიტორია თითქმის გაორკეცდა იმით, რომ ნას მრავალი ათეული მილიონი მკითხველი შეემატა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში და მილიონობით მკითხველი — კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც უკავია ამჟამად ჩვენს ლიტერატურას მსოფლიოს სხვა ლიტერატურებს შორის, არის რა სინათლის, ცხოველმყოფელი იდეების, სიბრძოლისენერგიის წყარო საზღვარგარეთელ მშრომელთათვის, შემოქმედებითი გამოცდილების წყარო საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე, პროგრესული მწერლებისათვის.

დიდია ლიტერატორთა ინტერესი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ყველაფრისადმი, რაც შეეხება ჩვენი ლიტერატურის განვითარების ისტორიას, ყველაფრისადმი, რასაც შეუძლია გაამდიდროს მათი წარმოდგენა ლიტერატურულ ნაწარმოებში სოციალისტური რეალიზმის მეთოდის კონკრეტული განხორციელების შესახებ. ამიტომ ასე დიდია საბჭოების ქვეყნის თვითეული ლიტერატორის პასუხისმგებლობა თავისი შრომისათვის. ასევე დიდია თვითეული კრიტიკოსის, თეორეტიკოსისა და მწერლის პასუხისმგებლობა ჩვენს ლიტერატურაში მომხდარი პროცესების შეფასების ყოველი სიტყვისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ დიდ ინტერესს წარმოადგენს საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი გამოცდილება აგრეთვე ჩვენი მეგობრებისათვის, პროგრესული მწერლებისათვის, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში ცხოვრობენ.

ჩვენი მეგობრების საუკეთესო ნაწარმოებნი შეიცავენ არა მარტო მათი თანამედროვე კაპიტალისტური სინამდვილის მწვავე, უკომპრომისო კრიტიკის საწყისს, არამედ აგრეთვე იმ იდეებს, გრძნობებსა და სახეებს, რომლებიც განასახიერებენ პროგრესულ, ცხოველმყოფელ საწყისს.

* * *

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა საბჭოთა ლიტერატურის როლზე დიდი სამამულო ომის წლებში. საბჭოთა პატრიოტების ერთიან მებრძოლ რაზმად წარმოსდგნენ ამ წლებში სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხის მწერლები. ომის პირველ დღეებშივე ათასზე მეტი საბჭოთა მწერალი (კავშირის მთელი შემადგენლობის მესამედზე მეტი) ნებაყოფლობით წავიდა მოქმედი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში. დიდი სამამულო ომის ყველა ფრონტზე — შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე, გმირი ქალაქების დამცველთა შორის, გმირ სახალხო შურისმგებელთა — პარტიზანთა შორის, იარაღით ხელში ან ფრონტელი ჟურნალისტის ფანქრითა და ბლოკნოტით ხელში — მიდიოდნენ საბჭოთა მწერლები ომის მძიმე გზებით თავის ნაწარმოებთა გმირებთან და მკითხველებთან ერთად.

ჩვენ წმიდად ვინახავთ გულში არკადი გაიდარის, ვლადიმერ სტავსკის, იური კრიმოვის, სერგი დიკოვსკის, ბორის ლევინის, მიხეილ ჩუმანდრინის, ბორის ლაპინის, ზახარ ხაცრევნის, სერგი სემიონოვის, ალექსანდრე აფინოგენოვის, ევგენი პეტროვის, ჯეკ ალტაუზენის, იოსებ უტკინის, ოლექსა დესნიაკის, სტეფანე ტუდორის, თათულ გურიანის, ალექსანდრე გავრილუკის, ფატიხ ქარიმის და ორასზე მეტი სხვა ჩვენი მებრძოლი ამხანაგის ხსოვნას, ბევრი მოძმე ლიტერატურის მწერლების ხსოვნას, რომლებიც დიდი სამამულო ომის დღეებში დაიღუპნენ.

დიდმა პატრიოტულმა აღმავლობამ, რომელმაც მოიცვა საბჭოთა ადამიანები ომის დღეებში, თავისი მამაცური, მართალი, გულითადი მოღვაწეობით გამთბარი გამოხატულება ჰპოვა ნაწარმოებებში, რომლებიც შეიქმნა იმ დაუვიწყარ წლებში.

ჩვენი ლიტერატურის „ომის ბედი“, როგორც სინათლე წყვდიადს, ისე უპირისპირდება ბურჟუაზიული ლიტერატურის „წმინდა ხელოვნების“ ქურუმთა ბედს. იმ წლებში, როცა დროებით მოზეიმე ფაშიზმი დაღუპვას უქადდა საფრანგეთსა და ინგლისს, მხოლოდ ყველაზე პატიოსანი დემოკრატი ლიტერატორები დარჩნენ თავისი ხალხის ერთგულნი. ხოლო სხვებმა — ისინი კი ბევრნი იყვნენ — ამჯობინეს ან გაქცეულიყვნენ ოკეანეს გიმმა, რათა იქ დაეცადათ, ვიდრე დამთავრდებოდა ლონდონისა და კოვენტრის ღამის დაბომბვები, ან „ჩაიკეტნენ საკუთარ ნაჭუჭში“ და ამით ფაქტიურად მოახდინეს კაპიტულაცია დამმონებელთა წინაშე, ან ცინიკურად გაჰყიოდეს თავიანთი კალამი დამპყრობთა სამსახურისათვის.

გორკისეულმა საბელოვანმა მგზნებარე საშწერლო პუბლიცისტიკის ტრადიციამ დიდი სამამულო ომის წლებში თავისი შესანიშნავი განვითარება ჰპოვა საბჭოთა მწერლების დიდი ჯგუფის მოღვაწეობაში. დღემდე წარუშლელია საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის მილიონობით ადამიანის მეხსიერებაში ილია ერენბურგის პამფლეტების ცეცხლოვანი სტრიქონები. დღემდე შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ ბორის გორბატოვის გულითადი და მკაცრი „წერილები ამხანაგს“. როგორც ცოცხალ სარკეში, ისე იხატება ჩვენს წინაშე ლენინგრადელთა მძიმე და გმირული ცხოვრება ბლოკადის დღეებში, ნიკოლოზ ტიხონოვისა და ვსევოლოდ ვიშნევსკის დღიურისებრი პუბლიცისტური სტატიების სერიაში. და განა მრავალმა ათეულმა მილიონმა ადამიანმა ვასილ გროსმანის შესანიშნავი ნარკვევები არ გაიგო და იგრძნო სტალინგრადის დამცველთა გმირობის სილამაზე.

1942 წლის ზაფხულში, როცა მტერი სტალინგრადს უახლოვდებოდა, მთელს ჩვენს ქვეყანაში გაისმა მ. შოლოხოვის მგზნებარე მოთხრობა „სიძულვილის მეცნიერება“. ომის წლების საბჭოთა ლიტერატურას ღირსეულად ვერ შეაფასებთ, თუ არ გავითვალისწინეთ ა. ტოლსტოის, ა. ფადეევის, ლ. ლეონოვის, კ. ფედინის, ვ. ივანოვის, პ. პავლენკოს, ვ. ლაცისის, დ. ზასლავსკის, ვ. სტავსკის, კ. სიმონოვის, ბ. პოლევოის, ბ. გალინის, ი. სუდრაბკალნის, ჰ. ჭოჩარის, ვ. ვასილევსკაიას, ი. გალინისა და სხვა საბჭოთა მწერლების სამხედრო პუბლიცისტიკა და ნარკვევები.

დიდად სამწუხაროა, რომ კრიტიკულად გააზრებული და განზოგადებული არ არის ჩვენი მწერლების გამოცდილება, რომლებიც ომის დროს სამხედრო თემაზე მუშაობდნენ პროზასა და დრამატურგიაში.

შემდეგ ამხ. სურკოვმა ჩამოთვალა ნაწარმოებნი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლებისა — პროზაიკოსების, პოეტების, დრამატურგებისა და პუბლიცისტებისა, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით საბჭოთა მკითხველების ფართო წრეების აღიარება მოიპოვეს. იგი დაწვრილებით შეეხო ცალკეულ მწერალთა შემოქმედებითის მეთოდს, ანალიზი გაუკეთა მ

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა

ა. ა. სურკოვის მოხსენება საბჭოთა ლიტერატურის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ

(დასასრული)

ლენინის ამ სიტყვებით, რომლებიც ახლა პრაქტიკულად დაადასტურა ჩვენი ლიტერატურის მთელმა განვითარებამ, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის შემუშავების საერთო **მიმართულების** პირობებში, იგულისხმება, რომ შესაძლებელია არსებობდეს სხვადასხვა **მიმდინარეობანი,** შემოქმედებითი შეჯიბრება მათ შორის, რომ შესაძლებელია მოეწყოს ფართო დისკუსია ამა თუ იმ მიმდინარეობის უპირატესობათა განსახილველად.

მწერლები, რომლებიც ერთნაირად აფასებენ ცხოვრების მოვლენებსა და ადამიანთა ქცევას, უსასრულოდ მრავალფეროვნად ასახავენ მხატვრული სახით თავიანთი ხედვისა და გრძნობის შედეგებს. პროკოფიევს სელვინსკისაგან, მირშაქარს ტურსუნ-ზადესაგან ყოველთვის შეუცდომლად გავარჩევთ „წერის მანერით“, „ლექსის მდინარეობით“, თემის გაშუქების ხერხით, და, პირიქით, თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დასავლეთის თანამედროვე მოდერნისტები, რომლებსაც სრულ უსახობად აქცევს მათი „ოპუსების“ სიცარიელე და უშინაარსობა.

შეჯამა რა მოკლედ საბჭოთა ლიტერატურაში დადებითი გმირის შესახებ ყრილობისწინა დისკუსიის შედეგები, ამბ. სურკოვმა თქვა, რომ ფადეევის, გაიდარის, ოსტროვსკის, პოლევოის წიგნები, ილინას — „მეოთხე სიმაღლე“ და ნაწარმოებები ზოია კოსმოდემიანსკაიას, ალექსანდრე მატროსოვისა და ჩვენი სინამდვილის სხვა რეალური გმირების შესახებ ამიტომ ცოცხლობენ და იმორჩილებენ ახალგაზრდა მკითხველთა გულს, რომ წინააღმდეგ პედანტთა ნიმუშებისა, რომლებიც ოცნებობენ „იდეალურ გმირზე“, ისინი გვიჩვენებენ ჩვენს ცოცხალ თანამედროვეებს, ახალი ხასიათის, ახალი მორალის, პირადი და საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალი ნორმების ქმნადობის ეპოქის ადამიანებს.

ანალიზი გაუკეთა რა სატირული, უარყოფითი სახის შექმნის პრობლემას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შეუძლებელი და საზიანოა იმის ცდა, რომ შევქმნათ ნაწარმოების პერსონაჟის პიროვნების ან საზოგადოებრივი ფონის მუქი და ღია ფერების შეხამების რეცეპტები. ასევე საზიანოა იმისი ცდა, რომ მოვახდინოთ ლიტერატურული ნაწარმოების დადებითი გმირის სახესა და ხასიათში მოწინავისა და ჩამორჩენილის ან მოწინავისა და „ჩვეულებრივის“ თანაფარდობის რეგლამენტაცია. ყოველი რეგლამენტაცია მაშინვე მკვდრად აქცევს სახესა და წიგნს, ცხოვრების დამაჯერებლობას ცვლის დიდაქტიკური ზნეობრივი ქადაგებით.

შეეხო რა დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა სახეებს, რომლებიც შექმნეს ჩვენმა მწერლებმა უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, კერძოდ, ომისშემდგომ წლებში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აქ ხშირად ყოფილა შემჩნეული, განსაკუთრებით დრამატურგიისა და კინოდრამატურგიის ნაწარმოებებში, ისტორიაში პიროვნების როლის არასწორი, დამახინჯებული წარმოსახვის შემთხვევები.

ერთ დროს პარტიამ მოგვაგონა საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელობა:

„საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა ის არის, რომ ეხმარებოდეს სახელმწიფოს სწორად აღზარდოს ახალგაზრდობა, უპასუხებდეს მის მოთხოვნილებებს, ზრდიდეს ახალ თაობას მხნეს, რომელსაც სწამს თავისი საქმე, არ აშინებს დაბრკოლებები, მზად არის გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება“.

იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულოს ეს დიდი ისტორიული ამოცანა, ჩვენს ლიტერატურას არ შეუძლია იაროს „იდეალური გმირის“ ან „იდეალური პიროვნების“ სახის შექმნის გზით.

ლიტერატურა ამ მოლიპულ გზას რომ დაადგეს, იმ საფრთხეში ჩავარდება, რომ დაიწყოს უხეირო მთხზველობა, რეალური სინამდვილის შეცნობა შეცვალოს „იდეების რუპორთა“ და დიდაქტიკურ ქადაგებათა მთხზველობით.

იმ სახეთა ძალა, რომლებიც ჩვენს ახალგაზრდა თანამედროვეს სურს მაგალითად მიიჩნიოს თავისი ბედისათვის, ემყარება ცხოვრების ღრმა სიმართლეს, ამ სახეთა ხასიათების განვითარებას „ტიპიურ გარემოებებში ტიპიურ ხასიათთა“ წარმოსახვის კანონების შესაბამისად.

ვაჯამებთ რა განვლილი ოცი წლის შედეგს, დიდი სიხარულით და სიამაყით აღვნიშნავთ რა ჩვენ მიერ განვლილ გზას, ამბობს მომხსენებელი, ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს იყო სულ სხვადასხვა იდეურად უცხო გავლენათა რეციდივების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის გზა. ამ ბრძოლაში ლიტერატორები მუდამ ეყრდნობოდნენ კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მტკიცე, ბრძნულ მხარდაჭერას.

ყრილობიდან ყრილობამდე განვლილ წლებში თავს იჩენდნენ რეციდივები რეაქციული თეორიისა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. დროდადრო ამ ცრუთეორიების ალმით ცდილობდნენ, რომ ლიტერატურა აეცდინათ მსოფლიოს ყველა დიდი მწერლის ტრადიციებით, და განსაკუთრებით ჩვენი მშობლიური კლასიკის ტრადიციებით განმტკიცებული მოქალაქეობრიობის პოზიციებისაგან, ხოლო ეს ჩვენს პირობებში ნიშნავდა იმას, რომ ლიტერატურას არ მიეღო მონაწილეობა პარტიისა და ხალხის ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის კომუნისტური მომავლისათვის.

პარტიის 1946-1948 წლების დადგენილებებმა ჩვენ, ლიტერატორებსა და საბჭოთა ხელოვნების სხვა დარგების მუშაკებს, მოგვაგონეს, რომ ეს საფრთხე არსებობს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი დაგვეხმარნენ დაგვერაზმა ჩვენი ძალები მოსალოდნელი საფრთხის სწრაფად დაძლევისათვის.

როგორც ომამდელ, ისე ომისშემდგომ წლებში ჩვენ ვხვდებოდით აგრეთვე „წმინდა ხელოვნების“ ისეთ უცვლელ თანამგზავრებს, როგორიც არის ფორმალიზმი, რომელიც იწვევს შინაარსისაგან ფორმის მოწყვეტას, ან ნატურალიზმი, რომელსაც ლიტერატურა გადაჰყავს ობიექტივიზმის გზაზე.

მტრულ რეაქციულ გავლენათა ყველაზე გამძლე რეციდივებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე კოსმოპოლიტური ტენდენციები.

ომისშემდგომ წლებში კოსმოპოლიტურ გამოხდომებზე რეაგირების სიმწავე განსაკუთრებით გასაგები უნდა იყოს, რადგან „ცივი ომის“ ინიციატორმა — ამერიკის იმპერიალიზმმა, მიზნად დაისახა რა მიაღწიოს მსოფლიო ბატონობას ერებისა და სახელმწიფოების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული შთანთქმის გზით, შემთხვევით როდი დაუდო თავის ექსპანსიას იდეოლოგიურ საფუძვლად სწორედ კოსმოპოლიტიზმი.

შესაძლებელია, რომ კვლავაც იჩინოს თავი ცდებმა — ჩვენი ლიტერატურის ძირითად პოზიციებზე იერიში მოიტანონ ნიჰილიზმის „პლატფორმიდან“, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ყრილობის წინ ჟურნალ „ნოვი მირში“ დაიბეჭდა მთელი რიგი სტატიები, რომლებიც ერთსულოვნად დაგმო ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ.

ჩვენ, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ტრადიციების ერთგულნი, ვიბრძოლებთ გამხრწნელი კოსმოპოლიტიზმის, ომის გამჩაღებელთა საზიზღარი იდეოლოგიის წინააღმდეგ. არც ერთ პატიოსან საბჭოთა ლიტერატორს, რომელმაც დაუშვა კოსმოპოლიტური ხასიათის შეცდომები, კრიტიკოსი იქნება იგი თუ მწერალი, არა აქვს დახშული შესაძლებლობა გადასინჯოს თავისი მცდარი პოზიციები და ნაყოფიერად და ერთსულოვნად იმუშაოს საბჭოთა ლიტერატორების მთელ ოჯახთან ერთად ჩვენი ლიტერატურის განვითარების საკეთილდღეოდ.

უცხო და მტრული ტენდენციების რეციდივები, რომლებიც თავს იჩენდნენ ლიტერატურის პრაქტიკასა და თეორიაში, მეჯავნდებოდნენ „მემარცხენეობის“ მეთოდებით კრიტიკაში, რომლებიც აღადგენდნენ პროლეტკულტელობისა და „რაპული“ განქიქების ყველაზე ცუდ ნაშთებს. საკმარისია გავიხსენოთ ჟურნალ „ოქტიაბრის“ კრიტიკული განყოფილების გეზი, როცა იქ მოკალათებული იყვნენ ა. ბელიკის მსგავსი „კრიტიკოსები“, რომ გასაგები გახდეს აგრეთვე ამ მავნე ტენდენციის გამძლეობა. ლიტერატურის ისტორიასა და პრაქტიკულ კრიტიკაში „ახალრაპელობა“ თავს იჩენდა ვულგარული სოციოლოგიზმის, ყოველგვარი პრიმიტივიზმისა და სხვა რეციდივებით.

სერიოზული მტერი, რომლის წინააღმდეგ განუწყვეტლივ უხდებოდა ბრძოლა ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებრიობას, იყო ბურჟუაზიული ნაციონალიზმი.

მომხსენებელი ანალიზს უკეთებს კრიტიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეთა მოღვაწეობას. გამოიკა ვრცელი ნაშრომები რუსული ლიტერატურის ისტორიაში, მრავალტომიანი შრომები ინგლისური, ფრანგული, გერმანული და სხვა ლიტერატურების ისტორიაში. გამოვიდა და გამოდის სერიოზული, მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომები, მიძღვნილი წარსულის უდიდესი მწერლისა და კრიტიკოსებისადმი, კლასიკოსთა სტილის, ენის, ოსტატობის შესწავლის პრობლემებისადმი. გაცილებით უფრო სუსტად მუშავდება საბჭოთა ლიტერატურის საკითხები.

ამბ. სურკოვი ხაზგასმით აღნიშნავს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს **აზრთა ფართო გაზიარებას** ლიტერატურის ამა თუ იმ მოვლენის ან ნაწარმოების შეფასებისას. საჭიროა მოისპოს ყალბი მდგომარეობა, როცა ყოველ დაბეჭდილ რეცენზიას მიიჩნევენ რაღაც საბოლოო და უაპელაციო განაჩენად ლიტერატურის ნაწარმოების შესახებ. შეფასების ავტორიტეტი დამოკიდებულია კრიტიკოსის გამჭრიახ და ღრმა განსჯაზე და არა სტატიის ან რეცენზიის დაბეჭდვის თვით ფაქტზე. მომხსენებელი აგრეთვე აღნიშნავს, რომ საჭიროა მეტი მოთხოვნა წავუყენოთ მწერლის შრომის მხატვრულ ღირსებას.

იგი ლაპარაკობს იმ ეგრეთწოდებული უკონფლიქტობის „თეორიის“ მავნეობაზე, რომელიც ეწინააღმდეგება სინამდვილის განვითარების კანონებს.

— გადაჭრით გავაძლიეროთ კრიტიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეთა მოღვაწეობა, — ამბობს მომხსენებელი, — მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები მივუთანოთ თანამედროვე ლიტერატურის გამოცდილების განზოგადების დიდი საკითხების გადაჭრას, გავაშუქოთ ჟურნალებსა და გაზეთებში ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, მიმდინარე პოლიტიკისა და ბიბლიოგრაფიის საკითხები, გამოვაცოცხლოთ გამოცემლობებში კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის რედაქციების საქმიანობა და შევქმნათ ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხების დამუშავებისადმი მიძღვნილი სპეციალური ჟურნალი — აი პირველი ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროა მივიღოთ იმისათვის, რომ გამოვაცოცხლოთ ლიტერატურული მუშაობის ეს უმნიშვნელოვანესი უბანი.

* * *

საბჭოთა ლიტერატურის უთუო და მნიშვნელოვანი წარმატებანი ყრილობიდან ყრილობამდე კი არ უარყოფენ, არამედ, პირიქით, გულისხმობენ მის ნაკლოვანებათა ყველაზე მომთხოვნელ, ყველაზე ფართო გარჩევას. ჩვენ უფლება არა გვაქვს არა ვთქვათ ყრილობის ტრიბუნიდან, რომ საბჭოთა ლიტერატურა ჩამორჩა ჩვენი სწრაფად მზარდი სინამდვილის მოთხოვნილებებს, მკითხველის მომთხოვნელობის განუწყვეტელ ზრდას. ჩვენ ძლიერად და პირდაპირ უნდა გავაკრიტიკოთ ჩვენი ლიტერატურის ნაკლოვანებანი, დავემყარებით რა არა მის შესაძლებლობებისადმი ნიჰილისტურ უნდობლობას, არამედ იმის რწმენას, რომ ჩვენს ლიტერატურას ჰყავს ნიჭიერი მწერლების ისეთი რაზმი, რომ მან მიაღწია შემოქმედებითი გამოცდილებისა და სიმწიფის ისეთ დონეს, რომ შეუძლია ბევრად უფრო რთული ამოცანების გადაწყვეტა, ვიდრე ის ამოცანებია, რომლებსაც იგი წყვეტდა და წყვეტს.

ლიტერატურის ამოცანებია — ეხმარებოდეს კომუნიზმის მშენებლის ხასიათის ჩამოყალიბებას ახალი დროის ადამიანთა ადამიანური ღირსებების მთელი სიდიადის ჩვენებითაც და ადამიანთა შეგნებასა და ფსიქიკაში კაპიტალიზმის გადმონაშთების, ცხოვრების ყველა ნაკლისა და მოუწყობლობის მიზანმიმსწრაფი უკომპრომისო კრიტიკითაც.

საბჭოთა ადამიანი, რომელიც ასეთი უმაგალითო ტემპით წარმართავს ისტორიულ განვითარებას, მოუთმენელია. იგი მოელის ლიტერატურისაგან უფრო მხურვალე, უფრო დროულ გაბოხმაურებას ისეთ საკითხებზე, რომლებიც მას აღელვებს, მას სურს ნახოს მწერალი არა როგორც მემატიანე, რომელიც „უკანა რიცხვით“ აღრიცხავს მის ცხოვრებას და ბრძოლას, არამედ როგორც ამხანაგი და თანამებრძოლი, როგორც მომავლის მზეკრავი, რომელიც ამდიდრებს მშენებელს ახალი იდეებით, უსახავს მას ახალ ჰორიზონტებს.

ხშირად მკითხველი უკმაყოფილოა ჩვენი წიგნებით იმის გამო, რომ მათში ცალმხრივად არის ასახული საბჭოთა თანამედროვეობა, იმის გამო, რომ ბევრ ჩვენგანს არ შეუძლია ან ეშინია გაჰყვეს ჩვენს წინამორბედთა — კლასიკოსთა ტრადიციებს და ხშირად თავის წიგნებში ჩრდილავს ადამიანს პრობლემით ან მასალებით, ეშინია უჩვენოს ადამიანი მისი ისტორიული ყოფიერების „სამი საზომით“ — მრავალმხრივად, მისი სულიერი სამყაროს მთელი სიმდიდრით, საზოგადოებრივისა და პირადულის ერთიანობით.

ლექსებისა და პროზის მკითხველი, თეატრისა და კინოს მაყურებელი საბჭოთა ლიტერატურისაგან მოელის ჟანრების მრავალფეროვნებას — რომანებს, მოთხრობებს, ეპიკურ პოემებს, სამოქალაქო და პირად ლირიკას, ტრაგედიასა და დრამას, მრისხანე სატირას და მხიარულ საყოფაცხოვრებო კომედიას. მას უფლება აქვს მოითხოვოს, რომ ყველა ნაწარმოები იყოს მისი ფართო გონებრივი ჰორიზონტის დონეზე, ნაწარმოების მხატვრული ხარისხისადმი მისი უაღრესად გაზრდილი მომთხოვნელობის დონეზე.

ჩვენი ლიტერატურის სინამდვილე მტკიცედ მოითხოვს მწერლებისაგან უფრო ინტენსიურად ჩასწვდნენ ცხოვრებას. ცხოვრების გარეშე მაყურებლის პოზიცია საბჭოთა მწერლისათვის ყალბი პოზიციაა. საბჭოთა მწერალი მოწმე კი არა, არამედ მონაწილეა იმისა, რაც სინამდვილეში ხდება და რაც მისი წიგნის მასალაა. ბატონ-პატრონის პოზიცია საზოგადოების ცხოვრებაში მწერლის პარტიულობის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

კომუნისტური პარტია ლიტერატურას განიხილავს როგორც თავის აქტიურ თანაშემწეს ხალხთა მასების კომუნისტურ აღზრდაში, როგორც იარაღს ძველის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც საბჭოთა ადამიანის ცხოვრებასა და ხასიათში ახლის განზოგადების საშუალებას. მაგრამ, ვწყვეტთ რა ყველასათვის საერთო ამოცანებს, საჭიროა განსაკუთრებით გამოვყოთ ლიტერატურის ის სახეობები და ჟანრები, რომელთა განვითარებაზე დამოკიდებულია ხელოვნების მონათესავე სახეობათა ზრდა. მწერალთა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ მოღვაწეობას დრამატურგიისა და კინოდრამატურგიის დარგში, პოეზიის ისეთ სახეობათა დარგში, რომლებიც დაკავშირებულია სასიმღერო-მუსიკალურ შემოქმედებასთან. ამ უბნებზე ჩვენ განსაკუთრებით საგრძნობი ჩამორჩენა გვაქვს, რაც აფერხებს ხელოვნების უმნიშვნელოვანეს და ყველაზე მასობრივ სახეობათა განვითარებას, ხოლო თეატრის, კინოს, სიმღერის ხასიათი ისეთია, რომ ლიტერატურული ნაწარმოები მათი საშუალებით ყველაზე სწრაფად და საყოველთაოდ ვრცელდება ათეულ მილიონობით ადამიანთა შორის.

* * *

მწერალთა კავშირი, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ლიტერატურაში ახორციელებს პარტიის იდეებს, იგი ლიტერატურისადმი კოლექტიური სამწერლო ხელმძღვანელობის ფორმაა. ა. მ. გორკის ინიციატივით შექმნილი მწერალთა კავშირი 20 წლის მანძილზე ასრულებდა ამ როლს.

სრულიად საკავშირო ყრილობის წინ მთელ ჩვენს ქვეყანაში იმართებოდა მწერალთა ყრილობები რესპუბლიკებში, მწერალთა კონფერენციები ოლქებსა და მხარეებში. ამ ყრილობებსა და კონფერენციებზე ფართო კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნამდვილ დემოკრატიულ ატმოსფეროში მოხსენებები და თანამოხსენებები გააკეთა და კამათში მონაწილეობა მიიღო 1.300-ზე მეტმა მწერალმა, კავშირის მთელი შემადგენლობის მესამედზე მეტმა.

მრავალი გამოსვლა შეიცავდა მწერალთა კავშირის მუშაობის სხვადასხვა მხარის, მათ შორის ორგანიზაციული მუშაობის სერიოზულ კრიტიკას. ეს კრიტიკა, ხშირად მკაცრი, მთლიანად მიმართული იყო მწერალთა კავშირის განმტკიცებისაკენ მისი მუშაობის ნაკლოვანებებისა და შეცდომების გადაჭრით გამოსწორების გზით.

დიდია ამოცანები, რომლებიც კოლექტიურად უნდა გადაწყვიტოს ლიტერატურამ ყრილობაზე და ყრილობის შემდეგ. ამ ამოცანების შესასრულებლად საჭიროა საბჭოთა ლიტერატორების მთელი კოლექტივის ღონისძიებანი. მწერალთა კავშირის წევრების რიცხვი ყრილობიდან ყრილობამდე ერთიორად და მეტად გადიდდა. მაგრამ ახალი წიგნების რიცხვი მნიშვნელოვნად ნაკლები პროპორციით გაიზარდა. საბჭოთა მწერლების კავშირის წევრთა შორის ცოტანი როდი არიან ადამიანები, რომლებმაც შეწყვიტეს ლიტერატურაში მუშაობა.

ყრილობიდან ყრილობამდე განვლილ პერიოდში ლიტერატურაში ბევრი ახალი ადამიანი მოვიდა, და მაინც მწერლის საშუალო ასაკი 10-15 წლით გადიდდა, ხოლო 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა მწერალთა ხვედრითი წონა ბევრად ნაკლები გახდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დგას ლიტერატურაში ნიჭიერი ახალგაზრდობის ჩაბმის ამოცანა. მას უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ შეხამებული იყოს ნიჭიერი ახალგაზრდობისადმი კეთილგულისხმიერება და უაღრესად მკაცრი მომთხოვნელობა იმ ნაწარმოებთა ხარისხისადმი, რომლებითაც ახალგაზრდობა ლიტერატურაში შემოდის.

ჩვენმა ყრილობამ განსაკუთრებით მტკიცედ უნდა მიაპყროს უფროსი თაობის ლიტერატორთა ყურადღება იმას, რომ მათი პირდაპირი მოვალეობაა პასუხს აგებდნენ ლიტერატურის ხვალინდელი დღისათვის, ესე იგი ლიტერატურული ახალგაზრდობის აღზრდისათვის. ჩვენმა ლიტერატორებმა, ა. მ. გორკის მაგალითისამებრ, უფრო უხვად უნდა გაუზიარონ ახალგაზრდობას თავიანთი გამოცდილება, სულ ახალი და ახალი ნიჭიერი ადამიანები ჩაბმან ლიტერატურაში.

დასასრულ მომხსენებელმა განაცხადა:

— საბჭოთა ლიტერატურის წარმატება, მის ნაწარმოებთა კოლოსალური გავრცელება ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ ნიშნავს ახალი გმირის — საბჭოთა ადამიანის ძლევამოსილ, ტრიუმფალურ სვლას მსოფლიოს ქვეყნებში.

საბჭოთა მწერლების პირველი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ ეს გმირი გამდიდრდეს ლიტერატურის ნაწარმოებებში ახალი ნიშნებითა და თვისებებით, რასაც ადამიანებს ყოველდღიურად უნერგავს საბჭოთა ცხოვრება, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება.

* * *

ა. ა. სურკოვის მოხსენების შემდეგ ყრილობის პირველი სხდომა დამთავრდა.

16 დეკემბერს საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა მუშაობას განაგრძობს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში.

(საკდესი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

1954 წლის 2 დეკემბერს ვაშინგტონში ხელი მოაწერეს ეგრეთწოდებულ „ხელშეკრულებას ურთიერთუშიშროების შესახებ“ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩან კაი-შის ხროვას შორის, რომელმაც თავი შეაფარა კუნძულ ტაივანზე.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა ცხადყო ამ შეთანხმების აგრესიული ხასიათი, როცა განაცხადა: „იმედი მაქვს, რომ თავდაცვის შესახებ ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ერთხელ და სამუდამოდ ეოუღებს ხოლოს ყოველგვარ ხმებსა და ცნობებს, იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები რაიმენაირად დათანხმდებიან გადასცენ ფორმოზა და პესკადორის კუნძულები კომუნისტების კონტროლში“.

როგორც ეს აღნიშნული აგრესიული ხელშეკრულების ტექსტიდან და დ-ნ დალესის განცხადებიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატები მიზნად ისახავენ ჩამოაცილონ ჩინეთს ტაივანი და პენხულედაოს კუნძულები (პესკადორის კუნძულები) და თავიანთი ბატონობა დაამყარონ ჩინეთის ამ ეროვნულ ტერიტორიებზე.

ამერიკის შეერთებული შტატების ეს აქტი უხეში დარღვევაა იმ ვალდებულებისა, რომლებიც მათ იკისრეს საერთაშორისო შეთანხმებებით, რომლებიც ადასტურებენ ჩინეთის კანონიერ უფლებას ჩინეთის აღნიშნულ ძველთაძველ ტერიტორიებზე.

როგორც ცნობილია, კაიროს 1943 წლის დეკლარაციაში, რომელსაც ხელი მოაწერეს აგრეთვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა, საქვეყნოდ არის განცხადებული, რომ „ყველა ტერიტორია, რომლებიც იაპონიამ წაართვა ჩინელებს, როგორიც არის, მაგალითად, მანჯურია, ფორმოზა და პესკადორის კუნძულები“, დაუბრუნდება ჩინეთს. ეს გადაწყვეტილება დადასტურებულია პოტსდამის 1945 წლის დეკლარაციით, რომელსაც ხელი მოაწერეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, აგრეთვე ინგლისმა. იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ ტაივანი და პენხულედაოს კუნძულები შეუერთდა კონტინენტურ ჩინეთს.

შემდეგში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არა აქვთ აგრესიული ზრახვები აღნიშნული ტერიტორიების მიმართ. კერძოდ, პრეზიდენტ ტრუმენის 1950 წლის 5 იანვრის განცხადებაში ფორმოზის შესახებ ნათქვამია: „შეერთებულ შტატებს არავითარი მტაცებლური ზრახვები არა აქვთ ფორმოზის ან ჩინეთის სხვა რაღაცელიმე ტერიტორიის მიმართ. ამერიკის შეერთებულ შტატებს არავითარი სურვილი არა აქვთ მოიპოვონ განსაკუთრებული უფლებები ან პრივილეგიები ან შექმნან სამხედრო ბაზები ფორმოზაზე... მათ აგრეთვე არავითარი განზრახვა არა აქვთ გამოიყენონ თავიანთი შეიარაღებული ძალები იმისათვის, რომ ჩაერიონ ახლანდელ მდგომარეობაში... ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აგრეთვე არ გაუწევს სამხედრო დახმარებას ან კონსულტაციას ჩინეთის ჯარებს ფორმოზაზე“.

მაგრამ 1950 წლის ივნისში, კორეაში ომის გაჩაღებასთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ბრძანება გასცა გაეგზავნათ ამერიკის ჯარები ტაივანზე და ფაქტიურად დღეგდე ახორციელებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიის ამ ნაწილის ოკუპაციას.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩან კაი-შის ხროვას შორის 2 დეკემბერს დადებული აგრესიული ხელშეკრულების მიზანია გამონახონ იმის საბაბი, რომ ტაივანზე და პენხულედაოს კუნძულებზე უკანონოდ იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები და შეერთებულმა შტატებმა განაგრძონ ამ ტერიტორიის ოკუპაცია. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ხელშეკრულება რომ დადო ტაივანზე მოკალათებულ ჩანკაიშელთა ხროვასთან, ეს უხეშად არღვევს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ამით არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომელიც ითვალისწინებს (მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი), რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავს იკავებს იმისაგან, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში მიმართოს ძალის მუქარას ან იგი გამოიყენოს როგორც რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე რაიმე სხვა ისეთი სახით, რომელიც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების მიზნებთან“.

რამდენადაც ტაივანი ჩინეთის ძველთაძველი ტერიტორიაა, ტაივანის განთავისუფლების ამოცანა, ბუნებრივია, ჩინეთის საშინაო საქმეა, ჩინელი ხალხის სუვერენული უფლებაა. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები და შეერთებულმა შტატებმა განაგრძონ ამ ტერიტორიის ოკუპაცია. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ხელშეკრულება რომ დადო ტაივანზე მოკალათებულ ჩანკაიშელთა ხროვასთან, ეს უხეშად არღვევს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ამით არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომელიც ითვალისწინებს (მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი), რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავს იკავებს იმისაგან, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში მიმართოს ძალის მუქარას ან იგი გამოიყენოს როგორც რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე რაიმე სხვა ისეთი სახით, რომელიც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების მიზნებთან“.

რამდენადაც ტაივანი ჩინეთის ძველთაძველი ტერიტორიაა, ტაივანის განთავისუფლების ამოცანა, ბუნებრივია, ჩინეთის საშინაო საქმეა, ჩინელი ხალხის სუვერენული უფლებაა. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები რომ არ ჩარეულიყვნენ, ტაივანის შეერთება ჩინეთთან უკვე განხორციელებული იქნებოდა.

სჩადის რა დამპყრობლურ აქტს ჩინეთის მიმართ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ მოსწყვიტონ მისი ტერიტორიის ნაწილი, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ლამობს გაამართლოს ეს ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების ინტერესების აშკარა დაუსაბუთებელი დაძაბულობით. ასეთი საბაბის შეუსაბამობა მით უფრო თვალსაჩინოა, რომ, როგორც ცნობილია, ჩინეთის ამერიკისაგან ჰყოფს წყნარი ოკეანე, ხოლო ტაივანი 11 ათას კილომეტრზე მეტი მანძილით არის დაშორებული ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩანკაიშელთა ხროვას შორის დადებული აღნიშნული აგრესიული ხელშეკრულების ტექსტიდან ჩანს, რომ მისი დებულებანი, ვრცელდება არა მარტო ტაივანსა და პენხულედაოს კუნძულებზე, არამედ აგრეთვე „სხვა ტერიტორიებზეც, რომლებიც შეიძლება განსაზღვრონ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე“. ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ტაივანი და პენხულედაოს კუნძულები მიაჩნია ერთ-ერთ პლაცდარმად შემდგომი აგრესიული მოქმედებისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და მორეული აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების ეს აქტი უთუოდ ამწვავებს ვითარებას მორეულ აღმოსავლეთში და აძლიერებს დაძაბულობას სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

პარიზის შეთანხმებათა დადება გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების მიზნით და დასავლეთ გერმანიის შეყვანა სამხედრო დაჯგუფებებში, სამხედრო ბლოკის შექმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კოლონიური რეჟიმის შენარჩუნების მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სამხრეთ კორეის ლისინმანელთა მთავრობასთან ხელშეკრულების ხელმოწერა ეგრეთწოდებულ „ურთიერთ უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ“, ხოლო ფაქტიურად მორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების კიდევ ერთი სამხედრო პლაცდარმის შექმნის შესახებ, და ჩინელი ხალხისადმი მტრული ხელშეკრულების დადება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ტაივანზე მოკალათებულ ჩანკაიშელთა ხროვას შორის, — ყოველივე ეს ერთი ჯაჭვის რგოლებია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში, რომლის მიზანია ხელი შეუშალოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და დააჩქაროს ახალი ომის მომზადება.

საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკისადმი, რომელსაც ახორციელებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის 1954 წლის 12 ოქტომბრის ერთობლივ დეკლარაციაში. ამ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ აგრესიის პირდაპირი აქტები, რომლებიც ჩაიდინეს შეერთებულმა შტატებმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, და განსაკუთრებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილის — ტაივანის კუნძულის ოკუპაცია შეერთებული შტატების მიერ, რაც კვლავ გრძელდება, აგრეთვე ჩინელი ხალხის მიმართ მტრული ჩან კაი-შის ხროვისადმი სამხედრო და ფინანსური დახმარება შეუთავსებელია შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნების ამოცანებთან და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ამოცანებთან.

სსრ კავშირის მთავრობა აცხადებს, რომ იგი იზიარებს ჩინეთის სახალხო რ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი. (საკდესი). 13 დეკემბერს სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის დღის სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა საკითხისა ჩინეთის ზღვების რაიონში ნაოსნობის თავისუფლების დარღვევის შესახებ.

პოლონეთის წარმომადგენელმა სკშუშევსკიმ მიაპყრო ყურადღება შორეული აღმოსავლეთის სეიროზულ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ჩანკაიშელთა მეკობრეობისა და ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ მათდამი მფარველობის შედეგად. მოიყვანა რა მთელი რიგი კონკრეტული მაგალითები, სკშუშევსკი დაწვრილებით შეეხო ჩანკაიშელების მიერ პოლონეთის ორი გემის „პრაცისა“ და „პრეზიდენტ გოტვალდის“ მოტაცებას, აგრეთვე არაადამიანურ მოპყრობას გემების ეკიპაჟების წევრებისადმი, რომლებიც კუნძულ ტაივანის საპყრობილეებში იტანჯებიან.

პოლონეთის წარმომადგენელმა მოიყვანა იმის უდავო დამამტკიცებელი საბუთები, რომ ამერიკის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები პასუხისმგებელი არიან ჩინეთის ზღვების რაიონში ჩანკაიშელთა მეკობრული მოქმედებისათვის. პოლონელი ხალხი, თქვა სკშუშევსკიმ, პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ჩინეთის ზღვების რაიონში უკანონოდ მოიტაცეს საგაჭრო გემები. გენერალურმა ასამბლეამ უნდა მიიღოს ღონისძიებანი, რათა ჩანკაიშელების მიერ მოტაცებული საგაჭრო გემები დაამრუნონ, ხოლო მათი ეკიპაჟების წევრები გათავისუფლონ.

გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი. მან ვერ გაამთელა ვერც ერთი ფაქტი, რომლებიც მოიყვანეს სსრ კავშირისა და პოლონეთის დელეგაციებმა. მან, როგორც ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ ხდება, არგუმენტების უქონლობის გამო განაცხადა, თითქოს გენერალური ასამბლეის განსახილველად ამ საკითხის დასმას „პროპაგანდისტული მიზნები“ ჰქონდეს. თავი აარიდა რა საკითხის არსებითად განხილვას, ამერიკის დელეგატმა თავისი სიტყვა ისევ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ ცილისმწამებლურ გამოხდომებზე.

ინგლისის წარმომადგენელი პინკი ცდილობდა გაემართლებინა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათ ზურგს ამოფარებული ჩანკაიშელთა ბანდების მოქმედება. ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი, იგი ლონდონ სიტყვით უარყოფდა იმას, რომ ამერიკის ავიაცია მონაწილეობდა ჩინეთის ზღვების რაიონში სავაჭრო გემებზე ჩანკაიშელთა ბანდების თავდასხმებში. იმასთან არც ერთი სიტყვა არ მოუყვანია თავისი განცხადების დასამტკიცებლად.

უკრაინის სსრ წარმომადგენელმა ლ. ფ. პალამარჩუკმა განაცხადა, რომ გაშლილ ზღვებში ჩადენილი მეკობრეობა, რომელიც მიმართულია ზღვაოსნობის თავისუფლების წინააღმდეგ, არღვევს საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს, აფერხებს სახელმწიფოთა შორის სავაჭრო და ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას. მან მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ჩინეთის ზღვების რაიონში მეკობრული მოქმედებისათვის პასუხისმგებელი ოკეანეებში არა მარტო ჩანკაიშელებს, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებსაც, რომლებიც მათ აქეზებენ და მხარს უჭერენ. თვითონ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმაც, თქვა პალამარჩუკმა, ხომ ვერ უარყო ვერც ის ფაქტები, რომ სავაჭრო გემები მოიტაცეს ჩინეთის ზღვების რაიონში, ვერც ის ფაქტი, რომ ამ რაიონს კონტროლს უწევს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, თქვა უკრაინის სსრ წარმომადგენელმა, გვერდს ვერ აუვლის ისეთ სამარცხვინო მოვლენას, როგორიც არის მეკობრეობა ჩინეთის ზღვების რაიონში. გენერალურმა ასამბლეამ გადაჭრით უნდა დაგმოს ეს მოქმედება.

ნორვეგიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისმა დელეგაციამ თითქოს არაფერი იცის იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტს წილი უდევს ჩინეთის ზღვების რაიონში ჩადენილ მეკობრეობაში, და ამიტომ ხმას მისცემს საბჭოთა რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ. ასეთივე პოზიცია დაიკავა თურქეთის დელეგატმაც.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ი. ა. მალიკი.

უწინარეს ყოვლისა, თქვა მან, არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება ამერიკის დელეგატის განცხადებას, თითქოს განსახილველი საკითხი პროპაგანდისტული საკითხი იყოს. უკვე წესი გახდა, რომ ამერიკის დელეგატები, როცა საქმე ფაქტებს ეხება და როცა მათ არავითარი არგუმენტაცია არ მოეპოვებათ, ამბობენ, „პროპაგანდაა“ ან „პროპაგანდისტული“, და ჰგონიათ, რომ ამით ყველაფერი დამტკიცეს. ამერიკის დელეგატმა ვერ გაბათილა სსრ-თა დელეგაციის განცხადებაში მოყვანილი ვერც ერთი ფაქტი. ფაქტები კი ჯიუტი რამ არის.

ი. ა. მალიკმა აღნიშნა, რომ როცა საბჭოთა დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად აყენებდა ჩინეთის ზღვების რაიონში ზღვაოსნობის თავისუფლების დარღვევის საკითხს, იგი მხედველობაში იღებდა არა მარტო საბჭოთა კავშირის მეზღვაურთა ჯგუფს, არა მარტო საბჭოთა ტანკერ „ტუაფსეს“, არამედ სხვადასხვა სახელმწიფოს მრავალ ათეულ გემსაც, უცხოეთის გემების მრავალი ეკიპაჟის ტანჯვას. და ჩვენ უფლება გვაქვს, თქვა მან, მივმართოთ გაერთიანებულ ერებს და მტკიცედ მოვითხოვოთ, რომ მათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა შეწყდეს ეს დანაშაულებანი, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ეს დარღვევა. ეს ჩვენი უფლებაა, და ის, ვინც ამ საკითხის დაყენებას პროპაგანდას უწოდებს, ცილისმწამებლობას ეწევა ნაცვლად იმისა, რომ საქმიანად განიხილოს აქ დასმული საკითხი.

ინგლისის დელეგატი, თქვა შემდეგ საბჭოთა წარმომადგენელმა, ცდილობდა საეჭვოდ გაეხადა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების პასუხისმგებლობა შორეულ აღმოსავლეთში მეკობრეობისათვის, ხოლო ნორვეგიის დელეგატმა იგივე თვისი გაიმეორა. მაგრამ მათი ექვი გაფანტა თვითონ ამერიკის დელეგატმა, რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნულ რაიონს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალები „პატრულობენ“. რას ნიშნავს „პატრულობენ“? ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი სიგრძესა და სიგანეზე სეირავენ ჩინეთის ზღვების რაიონს, ხოლო ამერიკის ავიაცია სხსტემატურ მეთვალყურეობას უწევს გემებს, რომლებიც ამ რაიონში დადიან.

ამერიკის დელეგატის სიტყვით, განაგრძო ი. ა. მალიკმა, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტი პატრულობს მდგომარეობის „სტაბილიზაციის“ მიზნით, ხოლო ამ დროს მის ცხვირწინ ჩანკაიშელი მეკობრეები ძარცვავენ სხვის გემებს და ამერიკის ფლოტი ვერაფერს ვერ ხედავს, არაფერი არ ესმის, არაფერს არ აკეთებს. ვინ დაიჯერებს ასეთ არგუმენტაციას, რომლითაც აქ ამერიკის დელეგატი გამოვიდა?

მალიკმა აღნიშნა, რომ უცნაური პოზიცია დაიკავა ინგლისელმა დელეგატმა, რომელმაც თუმცა განაცხადა ჩემი ქვეყნის საუკეთესო მანძილზე ზღვაოსნობის თავისუფლების პრინციპის მომხრე იყოო, მაგრამ, ფაქტების მიუხედავად, შესაძლოდ ვერ მიიჩნია დაეგმო ამ პრინციპის დარღვევა ჩინეთის ზღვების რაიონში. უფრო მეტიც, განაგრძო სსრ კავშირის წარმომადგენელმა, ინგლისის დელეგატის სიტყვით, ისე გამოდის, რომ მეკობრული თავდასხმისათვის ბრალი ედება არა ჩანკაიშელებს, არამედ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. ინგლისის წარმომადგენლის ასეთი განცხადება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ გაკვრით ეწევა, რადგან ყველამ იცის, რომ არც ერთი სავაჭრო გემი არ დაუკავებიათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალებს და მათ არც ერთი ინგლისელი მეზღვაურის მიმართ არ უხმარიათ რაიმე ძალადობა.

სსრ კავშირის დელეგაცია, თქვა ი. ა. მალიკმა, ენერგიულად მოითხოვს, რომ გენერალურმა ასამბლეამ მიიღოს ღონისძიებანი, რათა შეუწყდეს მეკობრეობა ჩინეთის ზღვების რაიონში, რადგან ასეთი მოქმედება საფრთხეს უქმნის შორეული აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობასა და უშიშროებას.

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ პოლიტიკურმა კომიტეტმა დაიწყო განხილვა თავისი დღის წესრიგის უკანასკნელი საკითხისა—„კუნძულ კვიპროსის მოსახლეობისადმი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთო ხელმძღვანელობით, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლებების პრინციპის გამოყენება“.

ამ საკითხის განხილვისას თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ჯგუფი კოლონიური სახელმწიფოებისა, რომლებსაც ინგლისი მეთაურობს, შეთანხმდა ჩაშალონ ამ საკითხის განხილვა. და ხელი შეუშალონ იმას, რომ გენერალურმა ასამბლეამ მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება კუნძულ კვიპროსის შესახებ. როგორც ცნობილია, საბერძნეთის დელეგაციამ შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომლითაც გამოთქმულია სურვილი, რომ თვითგამორკვევის პრინციპი გამოიყენონ კუნძულ კვიპროსის მოსახლეობისადმი. ახალი ზელანდიის წარმომადგენელმა, რომელიც აშკარად ცდილობდა არ დაეშვა ამ რეზოლუციის მიღება, შეიტანა თავისი პროექტი, რომელიც მოითხოვს არ განაგრძონ დღის წესრიგის ამ პუნქტის განხილვა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა აშკარად გაიალაშქრა კვიპროსის საკითხის განხილვის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა ახალი ზელანდიის წინადადებას.

28 ხმის უმრავლესობით 15 ხმის წინააღმდეგ (თექვსმეტმა დელეგაციამ თავი შეიკავა) კოლონიურმა სახელმწიფოებმა მოახერხეს თავს მოეხვიათ პოლიტიკური კომიტეტისათვის გადაწყვეტილება რეზოლუციის იმ პროექტისათვის პრიორიტეტის მინიჭების შესახებ, რომელიც ახალი ზელანდიის დელეგაციამ შეიტანა.

საბერძნეთის წარმომადგენელმა კირუმ, რომელმაც გააკეთა ზოგადი განცხადება, ხაზგასმით აღნიშნა, რომ კუნძულ კვიპროსის მოსახლეობა მოითხოვს თავისუფლებას და თვითგამორკვევის უფლების დაკმაყოფილებას. კუნძულ კვიპროსის მოსახლეობას, თქვა მან, არა სურს შეურიგდეს ინგლისის კოლონიურ ბატონობას. ერთი მხრივ, ინგლისის მთავრობის უარმა იმაზე, რომ კვიპროსის მოსახლეობას მიანიჭოს თვითგამორკვევის უფლება და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი აზრის სულ უფრო მზარდმა ზეგავლენამ საბერძნეთის მთავრობაზე აიძულა საბერძნეთის მთავრობა, თქვა კირუმ, დაეყენებინა კუნძულ კვიპროსის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

კვიპროსის მოსახლეობისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭების წინააღმდეგ ილაპარაკა თურქეთის წარმომადგენელმა სარპერმა.

გერმანელ მილიტარისტთა გულახდილი აღიარება

ლონდონი, 14 დეკემბერი. (საკდესი). დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეები ცდილობენ თავიანთ პარლამენტებს დაამტკიცებინონ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გეგმები და თავიანთი ქვეყნების საზოგადოებრიობის დასამშვიდებლად სამე ისე წარმოადგინონ, თითქოს დასავლეთ გერმანიის არმია, რომელსაც აღადგენენ, რიცხობრივად შეზღუდული იქნება.

ამ მტკიცების ყალბ ხასიათს ააშკარავებენ დასავლეთ გერმანიის სამხედრო ხროვის წარმომადგენლები. დამახასიათებელია ყოფილი ჰიტლერელი ოფიცრების — გენერალ მანტოიფელისა და ვიცე ადმირალ ჰოიეს განცხადებანი „დეილი ექსპრესის“ ბონელ კორესპონდენტ ჰემშერთან საუბარში. მათი განცხადებებიდან ჩანს, რომ გერმანელი მილიტარისტები სრულიადაც არ აპირებენ დასჯერდნენ 12 დივიზიას, რომლებიც ოფიციალურად დაპროექტებულია პარიზის შეთანხმებათა საფუძველზე.

ჰემშერის სიტყვით, მანტოიფელი და ჰოიე, რომლებიც ამჟამად დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატები არიან, მოითხოვენ შეიქმნას ეგრეთწოდებული „ადგილობრივი თავდაცვის რაზმები“, რომლებიც მოტორიზებული მობილური კოლონები იქნებიან და აღიჭურვებიან სწრაფსასროლი ტანკსაწინააღმდეგო იარაღით.

უპასუხა რა კითხვაზე, ჰოიემ გულახდილად აღიარა, რომ გერმანიის არმიის რაოდენობა, რა თქმა უნდა, გადაჭარბებს ოფიციალურად დასახელებულ ციფრს.

ინგლისის დეკუნგანთა კონგრესში

რომი, 15 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს იტალიის დეპუტატთა პალატაში გრძელდებოდა განხილვა კანონპროექტისა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შესახებ. ქრისტიან დემოკრატის დი ბერნარდოს შემდეგ, რომელმაც მხარი დაუჭირა კანონპროექტს, გამოვიდა კომუნისტი ბერტი. პარიზის შეთანხმებანი, თქვა მან, არღვევენ მეგობრობის ხელშეკრულებებს, რომლებიც ომის დროს დადეს ინგლისმა და საფრანგეთმა საბჭოთა კავშირთან. „დასავლეთ ევროპის კავშირს“ ისეთივე აგრესიული ხასიათი აქვს, როგორიც „ევროპის თავდაცვითი გაერთიანებას“, და ისახავს იმავე მიზანს: დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას.

ბერტიმ აღნიშნა, რომ იტალიის მთავრობა, რომელიც მოითხოვს პარიზის შეთანხმებათა უსწრაფესად რატიფიკაციას, მოქმედებს საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შენარჩუნებისა და იტალიის ნამდვილი ინტერესების წინააღმდეგ.

სოციალისტმა გუადალუპიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარიზის შეთანხმებათა № 3 დანართი, რომლის საფუძველზეც „დასავლეთ ევროპის კავშირის“ შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის, ე. ი. ამერიკელი გენერლის ხელში გადადის, აშკარად ეწინააღმდეგება იტალიის კონსტიტუციის 87-ე მუხლს, რომლის საფუძველზე იტალიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია რესპუბლიკის პრეზიდენტი.

გუადალუპიმ განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიის შეიარაღება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს და რომ ბლანკის უწყება (დასავლეთ გერმანიის ფაქტიური სამხედრო სამინისტრო. — **რედ.**) უკვე ეწევა ფართო მზადებას შეიარაღებული ძალების შექმნისათვის, რომელთა რაოდენობა ბევრად აღემატება გათვალისწინებულ 12 დივიზიას.

ნეოფაშისტური პარტიის „იტალიის სოციალური მოძრაობის“ წევრმა ანფუზომ განაცხადა, რომ პარტია პრინციპულად იწონებს პარიზის შეთანხმებებს, „მაგრამ აკეთებს მთელ რიგ შენიშვნებს“.

საჭიროა გავითვალისწინოთ ახლანდელი მდგომარეობის სერიოზულობა

ბერლინი, 12 დეკემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის გუშინდელი გაზეთების ცნობებსა და კომენტარებში სსკ-ოთა მთავრობის 9 დეკემბრის ნოტის გამო განსაკუთრებით ხაზგასმულია საბჭოთა კავშირის განცხადება, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია შეუძლებელს გახდის გერმანიის გაერთიანების შესახებ ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებას.

გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ აცხადებს, რომ ფრანგების მიერ მოწონება დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღებისა ათი წლის წინათ დადებული საფრანგეთ-სსკ-ოთა კავშირის ხელშეკრულების საწინააღმდეგო იქნებოდა. გაზეთი წერს: „საშიში იქნებოდა, რომ ჩვენ, დასავლეთ გერმანელები, უსიტყვოდ შევერთებოდით დასავლეთის დიდი სამეულის „ოფიციალური წრეების“ კომენტარებს. ეს რომ ახლა გაგვეკეთებინა, ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ ჩვენ საკმაოდ არ ვიფიცებთ, როგორც გერმანელები, ამ მდგომარეობის სერიოზულობას“.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი „დი ფრაიჰაიტი“, რომელიც მაინცში გამოდის, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარიზის შეთანხმებათა შედეგი იქნებოდა გერმანიისა და ევროპის საბოლოო გათიშვა. „დასავლეთელ დიპლომატთა მისწრაფება — რაც შეიძლება მალე დამტკიცდეს პარიზის შეთანხმებანი, რასაც შედეგად მოჰყვება დასავლეთ გერმანიის შეიარაღება, სულ უფრო მეტად აფიქრებს ბონის მთავრობის პარტიების აქვთ დეპუტატს. ამ წრეებშიც კი შეგნებული აქვთ, რომ ფედერალური რესპუბლიკა ადენაუერმა საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა“.

სპიქიური უბედურება ინგლისში

ლონდონი, 14 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, გუშინ ინგლისში მოხდა წყალდიდობა, რომელიც უკანასკნელ წლებში ყველაზე ძლიერი იყო. იმ ქალაქების ქუჩებში, რომლებიც მდებარეობენ მდინარე ტემზის ზემო წელში, წყლის დონემ ორ ფუტს მიაღწია. წყალმა დფარა 36 ათას აკრამდე ნათესი ფართობი. ნათესებისათვის მიყენებული ზარალი ასეულ ათასობით დოლარს უდრის.

ჰარი პოლიტის გამოსვლა მიტინგზე ლონდონში

ლონდონი, 15 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ილინგის (ლონდონის რაიონი) რატუშაში გაიმართა მიტინგი, რომლითაც დაიწყო დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ საბრძოლველად ინგლისელი ხალხის მობილიზაციის კამპანია, რასაც კომუნისტური პარტია ახორციელებს. ასეთი მიტინგები გაიმართება მთელ ინგლისში იანვრის შუა რიცხვებამდე.

შეკრებილთა წინაშე თავის გამოსვლაში დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჰარი პოლიტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მუშათა კლასის დარაზმვა. იგი სათავეში უნდა ჩაუდგეს ინგლისში მშვიდობის ძალებს, რომლებიც დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ იბრძვიან.

პოლიტმა განაცხადა: „თუ დაუშვეს დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღება, ეს იქნება ყველაზე ძლიერი ლახვარი მშვიდობის საქმისათვის მას შემდეგ, რაც ჩემბერლენმა ჩეხოსლოვაკია გასცა 1938 წელს. თუ ჩვენ ჩაეფუშავთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების გეგმებს, ხოლო ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ეს, მაშინ ეს იქნება ომის გაჰაღებლებისათვის ჩაცემული ისეთი ლახვარი, რომ მათ გაუძნელდებათ წელში გაიმართონ. ჩვენ სათანადოდ უნდა შევაფასოთ დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების საფრთხე. თუ არის კაპიტალისტთა ჯგუფი, რომლებსაც ომი უფრო მეტად სწყურიათ, ვიდრე ამერიკელ კაპიტალისტებს, ესენი არიან დასავლეთ გერმანიის კაპიტალისტები. გათიშული გერმანია თავისთავად წარმოადგენს საფრთხეს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. აი ამიტომ საბჭოთა მთავრობა უკვე დიდი ხანია იბრძვის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მოლაპარაკების გზით მშვიდობიანი საშუალებებით გერმანიის გაერთიანებისათვის. თუ დაშვებულ იქნა დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღება, მაშინ ნაციზმი გენერლებისათვის ატომური იარაღის მიცემა მხოლოდ დროის საკითხი იქნება და გადაწყვეტილება მისი გამოყენების შესახებ დამოკიდებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ ამ გენერლებზე“.

პოლიტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთის ქვეყნებმა უარყვეს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების თათბირზე მიწვევა. მან ამხილა პროპაგანდისტული მტკიცება, თითქოს ცხრა ქვეყნის შეთანხმების რატიფიკაცია ხელს შეუწყობს მოლაპარაკებას სსკ-ოთა კავშირსა და დასავლეთის სახელმწიფოთა შორის. პოლიტმა განაცხადა: „თუ რატიფიკაცია მოხდა, არავითარი ახალი მოლაპარაკება არ იქნება. თუ დასავლეთი გერმანია ხელახლა შეიარაღდა, ევროპაში რაღაზე შეიძლება გაიმართოს მოლაპარაკება? პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია უაზროს გახდის მოლაპარაკებას გერმანიის გაერთიანებაზე და გამორიცხავს ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას“.

პოლიტმა განაცხადა, რომ თუ ინგლისელი ხალხი შეიგნებს მდგომარეობის საშიშროებას, მაშინ შეიძლება აწრაფად დაირაზმოს იგი პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლაში, აღნიშნა პოლიტმა, ინგლისელ ხალხს ჰყავს ძვირფასი მოკავშირეები გერმანიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მუშათა კლასის სახით, რომელიც ასევე შეშფოთებულია მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხით, რასაც დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია წარმოადგენს.

პოლიტი შეეხო იმას, რომ თემთა პალატამ მოიწონა პარიზის შეთანხმებანი. მან აღნიშნა, რომ შეთანხმებანი მოიწონა პარლამენტის წევრთა მხოლოდ 40 პროცენტმა. ინგლისში ისე ძლიერია პროტესტები დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ, რომ პარლამენტის ლეიბორისტი წევრების უმრავლესობამ კენჭისყრაში თავი შეიკავა. მაგრამ მხოლოდ 6 ლეიბორისტს აღმოაჩნდა მამაცობა ხმა მიეცა პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ.

ცხაკაია. ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის კოლექტივი ჩაბმულია ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში და წარმატებით ანალდებს ნაკისრ ვალდებულებას. **სურათზე:** კონტროლიორ-წუნმდებელი ჯ. ფარცვანია ამოწმებს გამოსაშვებად გამზადებული ხალიჩების ხარისხს.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის ლექტორიუმში

17 დეკემბერს საღამოს 7 საათზე ლ. კეტელბაველის სახელობის ბიბლიოთეკაში მომზსენებლებისათვის მოეწყობა ლექცია თემაზე: „ი. ბ. სტალინი — ლენინის საქმის დიდი განმგრძობი“. ლექტორი დოცენტი ს. სიმონგულოვი.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებაში

1954 წლის 17 დეკემბერს საღამოს 8 საათზე აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) გაიმართება საზოგადოების ნამდვილი წევრის პროფ. პ. გუგუშვილის საჯარო ლექციი თემაზე: „კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია და მანუფაქტურა, კაპიტალიზმის მანქანური პერიოდი“.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 18 და 19 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში დროგამოშვებით ნალექი, აღმოსავლეთის სუსტი, მდინარე რიონის ხეობაში ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაწლილ რაიონებში ღამით 3-8, დღისით 9-14 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 4-9 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 5-10 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 5-10 გრადუსი ყინვა, დღისით 1-6 გრადუსი სითბო.

1954 წლის 22 დეკემბერს საღამოს 8 საათზე თბილისის შრომის სახლის სხდომის დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი შემდეგი დღის წესრიგით:

„რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში და საბჭოთა მეურნეობებში მუშა-მოსამსახურეთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის, მისი გაუმჯობესების და დაავადებათა შემცირების ღონისძიებათა შესახებ“ (მომხსენებელი საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დ. მამამთავრიშვილი).

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო.

რედაქტორი ნ. ჯაში.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

17 დეკემბერს

როსინი — **სევილიელი დალაქი**

18 დეკემბერს

დოლიძე—**ქეთო და კოტე**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ღღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — ესპანელი მღვდელი, **მარჯანიშვილის სახელობის** — რაიკომის მდივანი, **გრიბოედოვის სახელობის** — ღღენი ტურბინებისა, **მუსიკალური კომედიის** — ჩვენი ნაცრობები, **სომხური დრამის** — მშობლიური ქვეყანა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კარაზანა (ფრონტმენტი № 25, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ორი მეგობარი (10 ს.), ღალატი (4 ს.), **თოჯინების ქართული** — პოტაპიჩი (12 ს. და 4 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ძალად ქორწინება, **კომკავშირელი** — მსახიობი ქალი, **დიდუბე, ოფიცერთა სახლი** — დაშნა, **კიროვის სახელობის პარკი** — მეფის მეკობრეები, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — სახიფათო მსგავსება, **გორკის სახელობის პარკი** — ავარა (I და II სერია), **კომუნარების ბაღი** — დიდი ოჯახი.

თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში

მარჯანიშვილის ქ. № 7



საახალწლოდ

მოწყობილია ნაძვისხის

სათამაშოების გაყიდვა

მომხმარებელთა უკეთ მომსახურებისათვის პირველ სართულზე

დადგმულია

განათებული

დიდი ნაძვისხე.

გაწყობილი ყველა სახის სათამაშოებით

დისერტაციების დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8).

28/XII-54 წ. დილის 11 საათზე ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციებს დაიცავენ:

თეიმურაზ ანტონის-ძე ჩიქოვანი

თემაზე: „საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი თრიალეთში“.

ივანე კონსტანტინეს-ძე ენიკოლოფოვი

თემაზე: „А. С. Грибоедов в Грузии и проект об учреждении Российской Закавказской компании“.

ალექსანდრე ლუკას-ძე მიქავა

თემაზე: „სამეგრელოს სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება XIX საუკუნის პირველ ნახევარში“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ., № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

მეუღლე მარიამ ოჯახით იუწყება

იოსებ ანდრიას-ძე ხარებავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-XII, 7 ს. გამოსვენება 19-XII, 2 ს. მოსკოვის შესახვ. № 12.

მეუღლე ლიზა ოჯახით იუწყება

იაკობ შოშიას-ძე როგავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-XII, 5 ს. ქ. ბორჯომში. გამოსვენება ბინიდან, ინტერნაციონალის ქ. № 50.

შვილები ადამ, ოლია იუწყებიან

სოფიო გიორგის ასულ ელიოზიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-XII, 8 ს. გამოსვენება 19-XII, 2 ს. ზაქრაძის მე-2 შესახვ. № 3.

მეუღლე ეკატერინე ოჯახით იუწყება

ნესტორ ალექსის-ძე ჩხეიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-XII სოფ. დიდ ჯიხიაში (სამტრედიის რაიონი).

„გლავმეტალოსბიტის“ საქართველოს კანტორა წლიური აღწერისა და წლიური ანგარიშის შედგენისათვის თბილისის და ქუთაისის საწყობებიდან წყვეტს ლითონის და ლითონის ნაწარმის გაცემას 1954 წლის 26 დეკემბრიდან, ამიტომ სთხოვს ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას აღნიშნულ ვადამდე მთლიანად გაიტანონ 1954 წლის ფონდების ლითონი და ლითონის ნაწარმი.

რედაქციის, გამოცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა—3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამოცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

УЭ 19126

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.